ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიმეორე

1927 სახელგამი № 21

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პიონერის“ ეს ნომერი მიძღვნილი აქვს საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის არსებობის 5 წლის თავს.

გ ა ს ა რ თ ო ბ ი.

ვნახოთ, რა გამოვა.

მაგიდის ირგვლივ სხედან პიონერები. ყველას წინ დევს ქალალდი და ფანქარი. არის დასახელებული ოთხი ნომერი, რომელმაც ყველა პიონერის ხელში უნდა გაიაროს. თვითეულმა უნდა დახატოს ნაწილი ადამიანის ან ცხოველის ტანის. იწყებენ პირველი ნომრიდან. ხატავს თავს, (რისაც უნდა: ვირის, ცხენის, თევზის, ადამიანის) და სადაც ათავებს თავს, უსვამს წერტილს და ისე დაკეცავს, რომ მეზობელმა არ დაინახოს, მხოლოდ წერტილი კი უნდა ჩანდეს, რომ მეორემ იქიდან დაიწყოს და თავს გადააბას კისერი. ასე გადასცემს მარცხნივ მეზობელს, მეზობელიც ხატავს კისერს და ისევ მესამეს მარცხნივ გადასცემს, მესამეც-ასევე იქცევა და ქალალდი შემოივლის ირგვლივ. ერთი იმათგანი არჩეულია ხელმძღვანელად და ეს პირველი ნომერი გადაეცემა მას. აგრეთვე შემოივლის მეორე, მესამე და მეოთხე ნომრები, შემდეგ ხელმძღვანელი ხსნის პირველ ნომერს, რასაც ყველას სიცილი მოჰყვება: აქ რაღაც სასაცილო ნახატებს დავინახავთ. ხშირად ხდება, რომ კაცის თავია, წეროს კისერი, ფრინველის ფრთა, თევზის ტანი და კაცის ფეხები, რაც ბავშვებში დიდ მხიარულებას იწვევს.

აბა, მოიფიქრეთ, თქვენ როგორ გამოხვალთ ამ მდგომარეობიდან.

1. კომკავშირელთა ერთი ჯგუფი ბრუნდებოდა აკის კონგრესიდან ზღვით ავსტრალიაში ძრავიანი ნავით. გზაში ამოუვარდათ საშინელი ქარბუქი. ძრავიანი ნავი ქარს ტალღებიდან ტალღებზე გადაჰქონდა და ბოლოს ერთ კუნძულზე შეისროლა, სადაც ადამიანებს არასდროს არ უცხოვრიათ. კომკავშირელებმა ჯადმოალაგეს ნავიდან თავიანთი ბარგი, დაანთეს ცეცხლი, გაიშრეს ტანისამოსი, ისაუზმეს და შემდეგ კუნძულის დასათვალიერებლად წავიდენ. კუნძული მთლად დაფარული იყო ხმელი ლერწმით. კარგად რომ გასცილდენ ბინას, ბოლის სუნი ეცათ. მოიხედეს უკან და დაინახეს, რომ კუნძულზე ცეცხლი გაჩენილა და პირდაპირ მათკენ მოდის ცეცხლის ალი. მიხვდენ, რომ ეს მათი ბრალი იყო და კუნძულზე ხანძარი მათი დანთებული ცეცხლიდან გაჩნდა, რადგან არ დააქრეს. რა ჰქნან ახლა, რომ გადაირჩინონ თავი? ან უნდა ცეცხლის ალში გაერბინათ, ან ზღვაში უნდა გადაცვივულიყვნენ. ერთიც და მეორეც დაღუპვას უქადდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მთელი კუნძული გადაიწვა, კომკავშირელები უვნებლად გადარჩენ. რით გადირჩინეს კომკავშირელებმა თავი?

2. როცა კომკავშირელებმა დაისვენეს და გონს მოვიდენ, დაიწყეს თევზაობა. დაიჭირეს ვეებერთელა თევზი და ამის შესახებ კომკავშირელებმა თავის ამხანაგებს მისწერეს: დიდი თევზი დავიჭირეთ, 4 კილო ბოლო ჰქონდა, თავი იწონდა იმდენს, რამდენსაც ბოლო და ტანის ნახევარი, ტანი კი იმდენს, რამდენსაც თავი და ბოლო. აბა, გამოვთვალოთ, რამდენს იწონიდა კომკავშირელების მიერ დაჭერილი თევზი?

შ ი ნ ა ა რ ს ი:

	გვ.
1. საქართველოს პიონერ-ორგანიზაციის არსებობის 5 წელი—კ. **ბუჯიაშვილის**	2
2. უსუფა უდაბნოსაკენ—**ს. ერთაწმინდელის**	3
3. ხუთი წელი—ლექსი **გ. სიოშვილის**	9
4. წითელი ბელურები—**გ. ნ—სი**	10
5. საქართველოს ბავშთა კომორგანიზაციის ხუთი წლის თავზე **ა. მდივნის**	16
6. ტფილისის სამიათასმა პიონერმა ოქტომბრის რევოლუციის პირველი ინსცენირობა მოაწყო—**ედ. შმერლინგის**	18
7. პიონერ-ორგანიზაციის შემოწმება	20
8. საკავშირო ცაკის საიუბილეო სესია	22
9. ცნობები რადიოს შესახებ	24
10. გასართობი	2 კანზე

საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა
329-153(05)
ბ-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად

პიონერი

1927
15 ნოემბერი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური მიწოს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცეკასთან) ჟურნალი მაყურებლისათვის

წელიწადი II
№ 21

სახელოვანი კომპარტიის და კომკავშირის ხელმძღვანელობით ს. ბ. კ. ო. ზრდის ლენინურ თაობას!



1. პიონერები კოლექტიურად ამზადებენ წერილს კედლის გაზეთისათვის (ტფილისი, მე-IV რაიონი, სახ. პოლიტ. სამ. კოლექტივი). 2. ოსოავიაქიმის კუთხე კოლექტივში (ტფილისი, I რაიონი, მე-5 კოლექტივი). 3. პიონერები ასწავლიან წერა კითხვას დედას (ტფილისი, მე-IV რაიონი). 4. ბუნებისმეტყველების კუთხე კოლექტივში (ტფილისი, I რაიონი, მე-5 კოლექტივი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პიონერ-ორგანიზაციის არსებობის 5 წელი.

ამა წლის 27 ნოემბერს შესრულდება ხუთი წელი მას შემდეგ, რაც კომკავშირმა, კომპარტიის ხელმძღვანელობით, საფუძველი ჩაუყარა ბავშთა კომუნისტურ მოძრაობას საქართველოში. განვლილი ხუთი წელი საქართველოს პროლეტარული ბავშობისათვის საამაყო წლებია. ხუთმა წელმა თვალი აუხილა მრავალ ჩამორჩენილ მუშისა და გლეხის შვილს, გააღვიძა მათი შემოქმედებითი უნარი და თვითმოქმედება, ჩააბა ისინი მშობელი ხალხის მიერ მიგავრელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში, შეაჩვია და შეასწავლა რევოლუციონური აზროვნება და საქმიანობა და ამნაირად გახადა ისინი მსოფლიოში პირველი პროლეტარული სამშობლოს უდიდესი მშენებლობის მონაწილე. ამ ხნის განმავლობაში პიონერთა ორგანიზაციამ გამოზარდა თავის რიგებში მრავალი ასეული ბავში, რომლებიც წამოიზარდენ, გაიწვრთენ და გადავიდენ კომკავშირის სახელოვან ორგანიზაციაში.

საქართველოს პიონერთა ორგანიზაცია, რომელიც ბავშთა თვითმოქმედებისა და უნარიანობის გაღვიძებს საფუძველზე ვითარდება, 75.000-მდე ბავშს აერთიანებს და დღეს იგი ბავშთა ერთ ძლიერ მასიურ ორგანიზაციას წარმოადგენს.

რა პირობებში წარმოიშვა იგი, რა განსხვავებაა პიონერთა და წინათ არსებულ სხვა ბურჟუაზიულ ბავშთა ორგანიზაციებს შორის?

ხუთი წლის წინ საქ. კომკავშირს უხდებოდა ენერგიული ბრძოლისა და მუშაობის წარმოება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ლეგალურად დარჩენილ ბურჟუაზიულ ბავშთა („შევარდენი", „სკაუტი" და სხვა) ორგანიზაციების ლიკვიდაციისათვის და მათ ნაცვლად პროლეტარულ, კომუნისტურ ბავშთა ორგანიზაციის შესაქმნელად.

ბურჟუაზიული აღზრდის ერთ მთავარ ფორმას წარმოადგენს ბავშთა ისეთი ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც თავისი არსებობის და აღზრდის სისტემას მთლიანად დაუქვემდებარებენ კაპიტალისტების ინტერესებს და მათ მოთხოვნილებებს. მენშევიკების ბატონობის დროს და მის შემდეგ ორი წლის განმავლობაში საქართველოში სწორედ ასეთი ბავშთა ბურჟუაზიული ორგანიზაციები იყო დამკვიდრებული. ამიტომ საქართველოს გასაბჭოება, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, დაუყოვნებლივ მოითხოვდა ამ ბავშთა ბურჟუაზიული ორგანიზაციების დაშლას, მოზარდი თაობის აღზრდის ბურჟუაზიული და მენშევიკური ფორმებისა და წესების აღმოფხვრას. ამ ამოცანის გადაჭრა არც ისეთი ადვილი იყო გასაბჭოების პირველ დღეებშივე. საქ. კომკავშირმა პარტიის დაუღალავი მზრუნველობით და ხელმძღვანელობით შესძლო ბავშთა ყოველნაირი ბურჟუაზიული ორგანიზაციის განდევნა და 1922 წლის 23 ნოემბერს ჩამოაყალიბა პიონერთა პირველი კოლექტივი (ტფილისში) „სპარტაკის" სახელწოდებით.

ამის შემდეგ განვითარდა და ფრთები გაშალა ბავშთა კომუნისტურმა მოძრაობამ მთელ საქართველოში. დღეს არ მოიპოვება არც ერთი კუთხე, რომ იქ არ არ ებობდეს ნორჩ პიონერთა კოლექტივი.

დღეს პიონერ-ორგანიზაცია თავისი არსებობის ხუთი წლის თავს დღეს სწაულობს; იგი ჯამს გაუკეთებს განვლილ მუშაობას და წავა განვითარების ახალი გზით. თითოეულმა მოწაფემ, თითოეულმა ბავშმა უნდა იგრძნოს საქ. პიონერ-ორგანიზაციის ხუთი წლის თავი, ყველა ბავშმა უნდა გამოვიდეს ქუჩებში დარაზმული რიგებით და უნდა დაიმედოს უფროსი თაობა, რომ მათ ზურგს უკან იზრდება მომავალ მედგარ მებრძოლთა თაობა.

კ. ბუჯიაშვილი.

ლენინის პარტიის და კომკავშირის ხელმძღვანელობით 5 წლის განმავლობაში გაიზარდა 75,000 წევრიანი პიონერ-ორგანიზაცია საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა.

— ვანია, აქ მოდი... აბა, შეხედე ამ თხუნელას, სად შემძვრალა!..—სიცილით გასძახა კასრების გროვასთან მისულმა მეზღვაურმა ამხანაგს, რომელიც აფრას სწევდა და ანიშნა პატარა ბიჭზე, რომელიც ერთ-ერთ ცარიელ კასრაში შემძვრალიყო...

— ეს ხომ ის ბიჭია, მე რომ მეხვეწებოდა გემზე აშვებას და არ გავუშვი?!—გაკვირვებით წამოიძახა მეორემ, რა მივიდა და იცნო პატარა უსუფა.

— შენ საიდან მოხვდი გემზე, ჰა? — შეეკითხა მეზღვაური შუბლშეჭმუხვნილი...

— ძია, ნუ ჩამაგდებ... მე ნავსადგურიდან თოკს ამოვყევი და...—უთხრა უსუფამ დამტვრეული რუსული ენით და შავი თვალები მიანათა მეზღვაურს.

— ვისი ხარ? სადაური? —შეეკითხა კაპიტანი თურქულად, რა გაიგო ეს ამბავი და მივიდა მასთან, თავზე ხელი გადაუსვა და მოუალერსა...

— ბაქოელი... აზერბაიჯანელი .. დედაჩემს გიული-კიზი ჰქვიან... შრომის სკოლაშია მასწავლებლად... მეც იქა ვსწავლობ. .

— მამა არა გყავს?

— არა. ის ბაქოს კომუნის დროს მოჰკლეს მტრებმა... დედაჩემმა ასე მითხრა...

ბაქოს კომუნის გახსენებაზე კაპიტანი დაღონდა... ესეც ხომ მონაწილე იყო იმ დროის, ესეც ხომ იბრძოდა მაშინ კასპიის ფლოტში!.. და თვალწინ წარმოუდგა ათას ცხრაას თვრამეტი წლის საშინელი სისხლის ღვრები ნავთის ქალაქში, თავგანწირული კომუნარები და მათი დაუნდობელი წამები... ეს ხომ შემთხვევით გადარჩა მაშინ...

— და მერე სად მიხვალ, რაზე ამოსულხარ აქ?—შეეკითხა ღიმილით.

— რაზე და, მე მინდა ის ადგილი ვნახო უდაბნოში, სადაც 26 კომუნარი აწვალეს, იქ დედაჩემის ძმაც იყო, ჩემი ბიძია...—მიუგო თამამად...—მე გავიგე, რომ ეს ხომალდი კრასნოვოდსკში მიდის და...

— მერე და მარტო არ გეშინია? სად მიხვალ, რომ არ იცი?..

— რაა საშიში!.. ვიპოვი... დედაჩემმა იმდენი ამბავი მითხრა მაშინდელი, რომ უეჭველად მინდა ვნახო იმ თავგანწირული ჩვენი წინაპრების წამების ადგილები...

— დედაშენმა იცის, რომ წამოხველი?

— რომ სცოდნოდა, ხომ არ გამომიშვებდა. . გამოვიპარე...

კაპიტანმა გაკვირვებით შეხედა მეზღვაურებს... მათ მხრები აიჩეჩეს... გაკვირვებულნი იყვნენ ამ ბავშის გაბედულებით. რა პიონერის ტანისამოსი ეცა თვალებში, კაპიტანი შეეკითხა:

— პიონერი ხარ?

— დიაღ...

ღუზა უკვე აწეული იყო და ზღვაში გასული ხომალდი თავმომწონე-თეთრი გედივით მისცურავდა წყნარი ზღვის მწვანე-ლურჯა ტალღებზე... ნაპირი უკვე შორს იყო, გემის გაჩერება და ნავით მაინც უკან გაგზავნა გვიანღა იყო. კაპიტანმა გააფრთხილა მეზღვაურები, რომ ბავშისთვის თვალყური ედევნებიათ, შემდეგ წავიდა და დეპეშის წერას შეუდგა ბაქოს გაზეთში გამოსაცხადებლად: რომ სცოდნოდათ ამ ბავშის ამბავი და არ შეწუხებულიყვნენ მისი ძებნით.

გიული-კიზიმ ამ დღეს მის ძებნაში მთელი ქალაქი გადაატრიალა, ყველგან შეატყობინა, მაგრამ არავინ იცოდა უსუფას ასავალ-დასავალი...

უსუფა გემის ბაქანზე იდგა, მოაჯირთან, და გაჰყურებდა უკან დარჩენილ სამშობლო აზერბაიჯანს. იქ, ბაქოში, რომელიც შავ კვამლშია გახვეული, მისი საყვარელი დედა, ალბათ, სწუხს მასზე — და გული აუტირდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას მოაგონდა გუშინდელი დღე, ზღვის პირი, სადაც დედიკო უამბობდა იმ ამბებზე, რომლის გამოც ახლა გემზე ამოიპარა და მიდის, მაგრამ საით, თვითონაც არ იცის... და რს სურათი ახლაც გაახსენდა... აი, თითქოს ისევ გუშინდელ საუბარში დედასთან...

ბ.

— სადაა, დედა, ის ულამაზო? — შეეკითხა უსუფა, რა დედა მოუთხრობდა ოცდაექვსი კომისრის დახვრეტის ამბავს, ბაქოს პროლეტარიატის მაშინდელ თავგანწირვას და საშინელ სისხლის ღვრას, სადაც მისი ქმარიც, ნობელისეული საწყობის მუშა, დაეცა...

— ვანია, აქ მოდი... აბა, შეხედე ამ თხუნელას, სად შემძვრალა!.. სიცილით გასძახა კასრების გროვასთან მისულმა მეზღვაურმა ამხანაგს.

— აგერა, იქ... შორს... გურგანის გალმა... კასპიის იქითა მხარეს... — მიუგო გიული-კიზიმ და ხელი გაუშვირა ზღის გალმა, იქით, სადაც ცის ჰორიზონტი ბობოქარი კასპიის თეთრ უბეში იკარგება...

— ბიძიაც იქ იყო? ისიც მოჰკლეს? - არ უსვენებდა ბიჭუნა დედას შეკითხვებით...

პარასკევი საღამო იყო, ანუ კვირა აზერბაიჯანში... წყნარი... სასიამო... ისეთი, როგორიც იშვიათად იცის ზღვის ნაპირებზე...

ზღვა ნელა ტოკავდა... ტალღები ზვირთების ფაფარს აიყრიდა, წამოვიდოდა ნაპირისკენ შხუილით, გუგუნით და, ნაპირის მიერ ძლეული, ისევ უკან ბრუნდებოდა, რომ ღონე მოეკრიბა და ახალი ძალით დაეწყო შემოტევა...

შორს, ნავსადგურში, გემები ისვენებდენ, და მუდამ სიცოცხლით სავსე მეზღვაურები ხუმრობდენ, ლაზღანდარობდენ, ოხუნჯობდენ ბაქანზე... ნავები მიმოცურავდენ მოსეირნეებით, ძრავიანი შხუნა დაგუგუნებდა სწრაფად... შორს, ზღვის დასავალზე, გედებივით მოჩანდენ მებადურთა იალქნებგაშლილი ხომალდები... მთელი მაზუთის ქალაქი შეჩერებული იყო და მხოლოდ ტრამვაის ხმაური, ავტომობილის გუგუნი ან სადგურში ორთქლმავლის შეკივლება თუ არღვევდა სიჩუმეს... ქალაქის თეთრი და შავი ნაწილების მცხოვრებნი ზღვის პირას გამოფენილიყვნენ: ზოგი ბანაობდა, ზოგი სეირნობდა, ზოგი მხართეძოზე წამოწოლილი გაჰყურებდა ზღვას ოცნებით .. გაშლილი ზღვის უბით მონაბერი სიო კი მარაოსავით ფნიავებდა მათ სიცხიან შუბლებს... აღარც შორი ბიბი-ებათის, არც სურახანის და არც საბუნჩის ნავთის სარეწაოებიდან არ ისმოდა საყვირების კივილი, გუგუნი... ისინი დღეის შესვენებით იკრებდენ ძალას სახვალიოდ, რომ ისევ ახმაურებულიყვნენ ქშენით და პირდაღებული დედამიწის გულიდან ამოეწურათ შავი სისხლი, რომელიც ბნელი ღამეების გასათეთრებლად ენთება... საქაჩავის მაღლააწვდილი კოშკები დაღვრემილი გამოიყურებოდენ რაღაც ზღაპრული დევებივით და ელოდენ მოუთმენლად მეორე დღის განთიადს, როდესაც გამურული მუშების მადლიანი ხელი ღონივრად მოიქნევდა წერაქვს შავი მიწის უბეზე ახალი შადრევნების აღმოსაფენად ..

გ.

აქ იყო გიული-კიზიც, ერთ-ერთი შრომის სკოლის მასწავლებელი, თავისი მოწაფეებით, რომელთა შორის მისი შვილი უსუფაც იყო... ეს იყო ერთი იმ ქალთაგანი, რომელთაც მონობის ჩადრი ახადა ოქტომბერმა და მათი სახით აღმოსავლეთს, აზიას აგრძნობინა თავისუფლების სიყვარული და ბრძოლა ..

მან ხშირად იცოდა ხოლმე ბავშების წაყვანა საექსკურსიოდ საინმე, ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილებისა და ქარხანა-დაწესებულებათა დასათვალიერებლად, ანუ ქალაქ გარეთ, თითქმის ყოველ კვირას, მაგრამ დღეს კი რატომღაც აქ არჩია წამოსვლა.

მოსეირნეთაგან მოშორებით, განმარტოებით ამოერჩია ფერდობი, ბავშები შემოესხა გარშემო და უამბობდა სხვადასხვა ამბავს ბავშთა და პიონერთა ცხოვრებიდან... შემდეგ გადავიდა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის მნიშვნელობაზე, რომლისთვისაც ბავშებს უკვე ამზადებდა, სკოლას რთავდა და გზადაგზა მოუთხრობდა სამოქალაქო ბრძოლების სურათებს და გადატრიალების დასაწყისს... როგორც ოქტომბრის გმირებზე ბაქოში, შეჩერდა ოცდაექვს კომუნარზე, რომელთა შორის ერთი მისი ძმაც იყო დედით...

შეჰქმნის ერთ დიდ კომუნის ოჯახს, შრომის მეუფებას, როგორც გვასწავლიდა ოქტომბრის რევოლუციის ბელადი და ყველა ჩაგრულთა მამა—ლენინი... თქვენ იზრდებით უფროს რევოლუციონერთა შესაცვლელად და მუდამ მზად უნდა იყოთ ომისთვის...

— მზადა ვართ მარად!—მიუგეს ბავშებმა ერთხმად.

— კიდევ, კიდევ, მასწავლებელო, გვიამბე რამე!—ეხვეწებოდა პატარა გოგონა ასტარა, რა გიული-კიზი შეჩერდა.

— ჰო, ჰო... მასწავლებელო... გთხოვთ...— დაუმატა ბავშვში ყველაზე უფროსმა ალიმ.

თაობა, რომელიც აღზარდა პიონერ-ორგანიზაციამ: პიონერები, რომლებიც ახლახან იქნენ გადაცემული კომკავშირში.

ბავშები დიდის გულდასმით უგდებდენ ყურს და ბავშური დაინტერესებით აძლევდენ შეკითხვებს, რაზედაც სიამით უპასუხებდა გიული კიზი...

— თქვენ, ახლანდელი ბავშები, ოქტომბრის შვილები ხართ, პაწია კომუნარები, და რა ალიზრდებით, დავაჟკაცდებით, შეხვალთ კომკავშირში, იქიდან კომპარტიაში და იმ საყვარელ წითელ დროშას, რომელიც თქვენს მამებს და დედებს მოჰქონდათ აქამდე, თქვენ მიიტანთ საბოლოო გამარჯვებამდე, როდესაც მთელს მსოფლიოზე გავრცელდება ოქტომბრის იდეალები და ყველა მშრომელი ხალხი

— მაგრამ რომ გვიანდება, თქვე ცელქებო, შინ დაბრუნება? აღერ მალე დაბნელდება კიდეც...

— არა უშავს რა, ცოტა ხანს კიდევ...— ეხვეწებოდენ ბავშები, რომელთაც ეზარებოდათ ჯერ ამ ამბის მოწყვეტა და შემდეგ ლამაზი ზღვის სურათებისა...

— კარგი... გეტყვით მოკლედ...

— მერე და, ოცდაექვს ძია კომუნარს რა საქმე ჰქონდათ ოქტომბერთან, ჰა, დედა?

— ისა, რომ...—დაიწყო გიული-კიზიმ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ.

მზე ეთხოვებოდა არემარეს და ზღვის გულში ჩასაყურყუმელავებლად ემზადებოდა... ზაფხულის სალამო იწურებოდა... ხალხი თვალს ვერ აშორებდა აქაურობას, არავის უნდოდა შინ დაბრუნება, არ უნდოდათ აგრეთვე ბავშებსაც...

— ეს იყო 1918 წლის 20 სექტემბერს. კასპიის იქითა მხრის ქვიშიან უდაბნოში, სადაც ძველად მხოლოდ აქლემთა ქარავნები თუ გაივლიდენ

მასწავლებელი უყვებოდა ბავშებს ბაქოს ოცდაექვსი კომისრის დახვრეტის შესახებ.

და ახლა კი, საბჭოთა ხელისუფლების დროს, აღმშენებლობით ჰყვავდება, — განაგრძობდა გიულიკიზი.

— ვინ იყვნენ მათი მკვლელები?—იკითხა შაქირამ.

— ვინა და ინგლისელები, ესერები და მუსავატელები... როდესაც რუსეთში ოქტომბრის გადატრიალება მოხდა და ძალა-უფლება ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში, დამარცხებული სხვადასხვა პარტიები გაიფანტენ ყოფილი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეებში და ცალკე რესპუბლიკები დააარსეს... აქ კი მუსავატელებმა—ბეგებმა და ბატონებმა მოიკალათეს... ბაქოში იყვნენ აგრეთვე ესერები, დაშნაკები, მენშევიკების პარტია და სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც მუსავატელებთან ერთად განაგებდენ აქაურ სვე-ბედს... მაგრამ არ ეძინათ ბოლშევიკებსაც, რომელთაც მთელი ბაქოს მშრომელი ხალხი მისდევდა... ესერები ინგლისელებს იწვევდენ ბაქოში საპატრიონოდ, საითკენაც სიამოვნებით იწვდიდენ ხელს ისინი, წავთის ხელში ჩასაგდებად; მუსავატელები ოსმალებს იწვევდენ, ორივენი კი მხოლოდ უფრო იმისთვის, რომ გადარჩენოდენ რუსეთიდან მოსალოდნელ ბოლშევიკურ ჯარებს, რომლებიც მოდიოდენ აქაური კომუნარების დასახმარებლად, რომელთაც ქალაქის მართვა ხელში აიღეს, რუსეთის მშრომელებთან კავშირის გაბმას აპირებდენ, აპირებდენ მებრძოლი ოქტომბრის გმირებისთვის სათბობი მასალის მიწოდებას, ოქტომბრის იდეის გავრცელებას როგორც მთელ ამიერკავკასიაში, ისე სპარსეთში და, საერთოდ, აზიაში... აი, რა ღვაწლი მიუძღვით ბაქოს კომუნარებს, ჩემო საყვარელო ბავშებო, ოქტომბრისათვის... მათ ხელ-

ში აიღეს ძალა, მაგრამ ირგვლივ ალყა შემოარტყეს, ბაქო დაამშიეს, წყალიც კი შეუწყვიტეს. ამ დროს სპარსეთიდანაც ბრუნდებოდა თავისი ჯარით იმპერიალისტურ ომში წასული ლენერალი ბიჩერიახოვი, რომელსაც ესერად მოჰქონდა თავი, და ყველანი შიესიენ ჩვენებს. ბევრი დაჟლიტეს, ბევრი დაიჭირეს და ხალხის არჩეული ოცდაექვსი კომისარი კი გემში ჩასხეს და ვითომც გადაასახლეს რუსეთში, ქალაქ ასტრახანამდე უნდა წაეყვანათ, მაგრამ ამის მაგიერ ისინი იმიერ კასპიის მხარეში გადარეკეს და იქ... — განაგრძობდა გიული-კიზი...

ნოვოდსკში... და... რა ყველა ეს გაახსენდა უსუფას, დაღონდა, მოენატრა დედა, ამხანაგები...

ᲔᲗ

— სხვა, ჩემო პატარა მოგზაურო, ხომ არ მოგწყინდა აქ?—რა მივიდა მოაჯირთან მდგარ დაღონებულ უსუფასთან კაპიტანი, ღიმილით შეეკითხა და თავზე ხელი გადაუსვა...

— მალე დავბრუნდებით, ძია, ბაქოში?—შეეკითხა უსუფა.



წიგნების სამკინძველო კოლექტივში.

ბავშვებს უნდოდათ ენახათ სადმე, მუზეუმში მაინც, ესერები, ესდეკები, მუსავატელები, ინგლისელები, მაგრამ რომ არსად იყვნენ!..

— გინდა, ალი, წავიდეთ მე და შენ იქ, ვნახოთ ის ადგილები, სადაც ისინი დახვრიტეს?— უთხრა უსუფამ ჩუმად ამხანაგს...

— არ ვიცი... შორსაა... აბა, ვისთან უნდა წავიდეთ... ან ვინ გაგვიშვებს...—უპასუხა ალიმ, მაგრამ უსუფამ კი მაინც გადასწყვიტა მარტო წასვლა... სად, როგორ, რა საშუალებით—ბავშს ამაზე არ უფიქრია... რახან დაიჟინა, უნდა აღასრულოს კიდეც! მეორე დღეს, რა სკოლაში მიჰყვა დედას, ნავსადგურისკენ გასწია ჩუმად... ბევრი ათვალიერა გემები, ვიდრე არ გაიგო, რომელი მიდიოდა კრასნოვოდსკში...

— ერთი კვირის შემდეგ, ჩემო ბიჭუნა... ამ ნავთს გადავცლით და დავბრუნდებით... მანამდის კი იყავი ჩვენთან... ხომ არ მოგწყინდა?

— არა, მაგრამ დედა...—თავი ჩაღუნა, ცრემლები მოადგა თვალებზე...

— ნუ გეშინია... მე აქედან რადიოთი გადავეცი ბაქოში შენი აქ ყოფნა და შეატყობინებენ დედას... ამ ერთ კვირას კი ჩვენი მეზღვაურების სტუმარი იქნები... იქ კი, სადაც შენ აპირებდი წასვლას, შორსაა, შენ კი არა, დიდებს უჭირთ წასვლა, და როცა გაიზრდები, მაშინ კი...

მეზღვაურები შემოეხვიენ... უსუფა აქამდე თუ უცხოდ გრძნობდა თავს მათში, ახლა შეეჩვია, გამხიარულდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ ჩვენი პატარა ზღვის ტურა ხარ, მეზღვაური...—წაეხუმრა წელანდელი მეზღვაური, კასრში რომ მიაგნო...

— არ გინდა მეზღვაური გამოხვიდე?—შეეკითხა მეორე...

— მინდა...—მიუგო უსუფამ ღიმილით...

უსუფა ხედავდა მხოლოდ მაღლა ლურჯ ცას და დაბლა იმავე ფერის ზღვას, რომელზედაც მისცუ-

ის თვალია ონავარი თევზისა, —უპასუხა მეზღვაურმა.

რავდა ხომალდი... ჯერ თუმცა ეშინოდა, რწევის გამო პირისღებინებაც დააწყებინა, მაგრამ მალე ყველაფერს შეეჩვია და ნატრობდა, როცა გაიზრდებოდა, უეჭველად მეზღვაური გამხდარიყო ..

ცას ნისლი გადეკრა, ზღვა შეიბურა, აღარაფერი ჩანს, წვიმა ცრის, ქარი ამოვარდა, ზღვამ შფოთვა იყო, აცივდა...

— ბავში კაიუტაში ჩაიყვანეთ!—გასცა განკარგულება კაპიტანმა და თავის კოშკზე ავიდა, რომ გეზი არ შეცვლოდა, რადგან ზღვაზე ბურუსი ჩამოწვა და ეს ხომ ყველაზე ძნელი ტანჯვა მეზღვაურთათვის...

— კაიუტაში კი ბებერი მეზღვაური, რომელსაც კაპიტანმა უსუფას მოვლა ჩააბარა, ჩიბუხის წევით ართობდა უსუფას, ელაპარაკებოდა ზღვაზე, უდაბნოზე, უამბობდა ლეგენდებს, ზღაპრებს, ზღვის ონავარი ვეშაპების ამბებს და სხვა...

— ვაი! ის რა არის??—შეჰყვირა უსუფამ და ხელი მიუშვირა სარკმელზე, საიდანაც ვიღაცის თვალი ჩანდა...

— ნუ გეშინია... აბა, შენ რომ ამბობ, მეზღვაური უნდა გამოვიდეო, მეზღვაური ხომ გულადი უნდა იყოს!.. ის თვალია ონავარი თევზისა, რომელიც ხშირად აედევნება ხოლმე გემს, საჭმელს ეძებს და ფანჯარაშიც იმიტომ იყურება, მაგრამ აქ რას იზამს... —უთხრა მოხუცმა მეზღვაურმა და ფანჯარის მინას მიუკაკუნა ჩიბუხი. ონავარი განშორდა...

დაღლილ-მოქანცულ უსუფას ბოლოს ტკბილად ჩაეძინა და სიზმარში, ვინ იცის, სად არ იყო, რა სურათები არ მიჰქროდენ მის თვალწინ: დედა... ბაქო... სკოლა... ამხანაგები... პიონერთა კოლექტივი... უდაბნო აქლემებით... დახოცილი კომუნარების ლანდები, ხელებგამოწვდილნი, თითქოს უსუფას აბარებენ და ასწავლიან, თუ ვით უნდა წინსვლა... იგი ბორგავს ძილში, იღიმება...

ამ დროს კი გიული-კიზი, რომელმაც მიიღო ცნობა უსუფას გემზე ყოფნისა, იდგა ნავსადგურში და ელოდა უსუფას დაბრუნებას...

ზღვა ღელვას უმატებდა, ბურუსი აჰყროდა მის სივრცეს, გემი ძლივს მიიკვლევდა გზას...

ს. ერ—ლი.

ნორჩო პიონერებო, ოქტომბრის შვილებო, თქვენ უნდა გახდეთ თქვენი მაშებისა და ძმების ღირსეული შემცვლელნი.

მუშათა და გლეხთა შვილებო, მთელი მსოფლიოს ბავშებო, ჩვენ თქვენთან ვართ, ჩვენ დაგეხმარებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲮᲣᲗᲘ ᲬᲔᲚᲘ.

ხუთი წელია მოვდივართ
ბრძოლისთვის დარაზმულები,
ხუთი წელია გავყივით
ქუჩებს მხედრული ხმებითა.
ცხოველი სხივით გამთბარი
მკერდში გვიფეთქავს გულები,
ახალ ცხოვრების სიმძიმე
ავზიდოთ ვიწრო მხრებითა.
დღემდე გულათრთოლებულნი
თუ ვიძახოდით „მზადა ვართ“,
წითელ დროშებით ვამკობდით
ქუჩებს, ნისლებით შებურვილს,
შეკავშირებულ რიგებით
ჩვენც იერიშზე გადავალთ,
მტერს ირგვლივ შემოვესევით
ზღვასავით ატალღებულნი.
ცამდე ავმართავთ დროშასა,
მაშვრალთა სისხლით გაბანილს,
შორ თხრილებიდან გვესმოდეს
დეე, ძახილი მტრულები.
ვინმე თუ ღონით ვვაშინებს,
არც ჩვენ დავუხვდეთ ჯაბანი,
და შემოსეულ ურდოებს
ვეკვეთოთ დაკუმშულები.
გზა თუ ბნელია სავალი, —
თვალებში ცეცხლი გვინთია,
მანძილები თუ შორია, —
გვაქვს ფოლადისა კუნთები.
მთიდან მთას გადავევლებით,
მინდორს გადავჭრით ბინდიანს,
ტყვიებით დაახრილ ველებზე
ყიჟინით ავგუგუნდებით.
დღემდე გულათრთოლებულნი
თუ ვიძახოდით „მზადა ვართ“,
წითელ დროშებით ვამკობდით
ქუჩებს, ნისლებით შებურვილს,
შეკავშირებულ რიგებით
ჩვენც იერიშზე გადავალთ
და მტრის ბანაკებს წავლეკავთ
ზღვასავით ატალღებულნი.

გ. სიოშვილი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲑᲔᲚᲣᲠᲔᲑᲘ

(ამბავი სამოქალაქო ომის ცხოვრებიდან).

ბავშები ფართო ჭიშკარს ამოფარებოდენ, რკინის ჩარჩოებში თავები გამოეყოთ და ქუჩაში ცნობისმოყვარეობით იცქირებოდენ.

ეზოდან მოისმოდა შეშინებული კივილი.

— სად მიდიხართ, თავს არაფერი აუტეხოთ..

— ტყვია მოგხვდებათ...

— დაბრუნდით...

— ვასო..

— გრიშა...

შუა ქუჩაში დაკუმშული გარბოდა ფეხშიშველი ოფიცერი, ცდილობდა მოედანი რაც შეიძლება ჩქარა გადაეჭრა, მაგრამ წელზე ჩამოკიდებული ხმალი ფეხებში ეხლართებოდა და სირბილს უშლიდა.

ამ დროს შესახვევიდან ვიღაც მხედარმა ყორანივით შავი ცხენი გამოაჭენა, ქუდზე წითელი ვარსკვლავი ჰქონდა, წელზე გრძელი, წითლად მოელვარე ხმალი ეკიდა. პირდაპირ ოფიცერს შეუტია და შემზარავი ხმით შეჰყვირა.

— შეჩერდი!.. ხელები მაღლა...

უცებ შიშველმა ხმალმა ჰაერში გაიკრიალა და შეშინებული ოფიცერი მტვერში გაგორდა.

— ჰმ.. შემამჩნია, წყეული...

ლუღლუღებდა თავჩაღუნული ოფიცერი და ზეზე წამოდგომას აღარ აპირებდა.

— ამხანაგებო! წაიყვანეთ თეთრი გვარდიის ოფიცერი, წაიყვანეთ.

ოფიცერს გარს შემოერტყენ მზისაგან სახეგამწვარი, ხელში თოფებმომარჯვებული წითელარმიელები.

— მობრძანდით, თქვენო კეთილშობილებავ,— დაცინვის კილოთი მისძახოდენ ჯარისკაცები და კონდახების ცემით გაღებულ ჭიშკარში შეჰყავდათ დატყვევებული ოფიცერი.

ეზოში ერთი ყიჟინითა და აურზაურით შეცვივდენ.

— ძია ეგორ, შეიძლება თქვენთან?..

— მობრძანდით... მობრძანდი!.. ფიცრულ კიბეზე იდგა ძია ეგორი და ჯარისკაცებს ეპატიჟებოდა.

პატარა ოთახი ხალხით გაიჭედა.

— მარიამ! დადგი სამოვარი, ამ დაქანცულ ხალხს ჩაით მაინც გავუმასპინძლდეთ.

ოფიცერი კუთხეში იდგა და ციებიანივით კანკალებდა...

— მართლა, ამ ოფიცერს რა ვუყოთ? სარდაფში ჩავკეტოთ?

— მეტი სადარდელი ნუ მოგვცემია. ეგდოს, მაინც ვერ გაიქცევა...

— ეხ! ბიჭებო... ბევრმა გაგვასწრო, ახლა ამისთანა ჩათლახები-ლა დაგვრჩა სანადიროდ,—სთქვა ძია ეგორმა.

— შემოხსენით ხმალი...

— მაგას რევოლვერიც ექნება, ჯიბეები კარგად გაუჩხრიკეთ.

ოფიცერმა ათრთოლებული ხელით შემოიხსნა ხმალი და ძია ეგორს გადასცა.

— რევოლვერიც, რევოლვერიც... გაისმოდა აქეთ-იქიდან.

— ამხანაგებო, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არა მაქვს რევოლვერი.

— ჰმ... ამხანაგიც გვიწოდა!? გვიანლაა, თქვენო კეთილშობილებავ.

— აბა, ჩქარა, ყველაფერი მაგიდაზე დააწყვე,— ბრძანების კილოთი მიმართა ძია ეგორმა.

მარიამმა ადუღებული სამოვარი შემოიტანა.

— რად გაისარჯეთ, ჩვენ მაინც ვერ მოვიცდით.

— ახლავე უნდა წავიდეთ, ახლავე, ვინ იცის, მტერი საიდან გვეპარება.. სიფრთხილე გვმართებს.

ამხანაგებო! რძე მაინც მიირთვით, —შეეპატიჟა ძია ეგორი.

— თითო ჭიქა რძე კი არ გვაწყენდა...

მარიამმა საჩქაროდ გააწყო სუფრა.

ოფიცერი ორმა ჯარისკაცმა წაიყვანა...

— სარდაფში დაამწყვდიეთ ეგ არამზადა, კარები მაგრად გადაუკეტეთ, — გასძახოდენ ფანჯრებიდან და თან რძიან ჭიქებსა სცლიდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედარმა, რომელსაც ქუდზე წითელი ვარსკვლავი ჰქონდა, ოფიცერს შესძახა: „შეჩერდი, ხელები მაღლა“.

— ახლა კი წავიდეთ, უკვე დროა, — სთქვა ერთმა.

ყველანი წამოდგენ და წასასვლელად გაემზადენ.

— ამხანაგებო, ცოტა მოითმინეთ, მეც თქვენთან წამოვალ. ამ სიტყვებზე საყუდის ზეინკალმა ძია ეგორმა ლურჯი ხალათი გადაიცვა, თოფი მხარზე გადაიკიდა და კარებისაკენ გაეშურა, რომ ამ დროს ეგორის 12 წლის ვასომ ხალათის კალთებში მაგრად ჩასჭიდა ხელები.

ცრემლიანი თვალები მამას გაუსწორა და შეეხვეწა:

— მამილო! სად მიდიხარ? მეც წამიყვანე...

— მოხალისედ მივდივარ, შვილო, შენ კი აქ დარჩები, დედა მარტო ცოდოა, მიეხმარები. მარიამო! ბავში გაჩერე.

— ვასო, რა გაღრიალებს, მამა ისევ დაბრუნდება, — უთხრა მარიამმა ვასოს და დიდის ვაივაგლახით ძია ეგორს მოაშორა.

— რასაკვირველია, დავბრუნდები. ჯერ თეთრგვარდიელებს გადავდეხით და მერე ისევ შინ მოვალ.

— წავიდეთ, ამხანაგებო, წავიდეთ, — იჩქაროდენ ჯარისკაცები.

ძია ეგორი ცოლშვილს კარგად არც გამოშშვიდობებია, ჯარისკაცებთან ერთად გარეთ გაიჭრა და უცებ მიიმალა ამტვერებულ ქუჩაში.

ორი საათის განმავლობაში ცრემლებს ძლივს იმაგრებდა დაღონებული ვასო და როცა ფანჯრიდან ბავშების ჟრიამული მოისმა, ეზოში გახარებული გავარდა და ამხანაგებს შეერია.

ბავშები „ომობიას“ თამაშობდენ.

— მარჯვენა მხრიდან.. მარჯვედ...

— მარცხენა ფრთას... ცეცხლი...

— არ შეშინდეთ, მაგრად დაუხვდით...

— პეტრე, გრიშა, შეუტიეთ...

ვასო კი იქვე ერთ დიდ ქვას ამოფარებოდა, მარჯვენა ხელს, თითქო არლანს უკრავსო, ჰაერში ატრიალებდა და ტყვიისმფრქვეველის ხმაზე გაიძახოდა: — ტრრრ... ტრრრ... ტა-ტა-ტა-ტა-ტრრრ-ტა-ტა-ტა-ტრრ.

—

ვასო ისევ ფიქრებმა შეიპყრო: „სად არის მამა? ამბობენ, კოლჩაკელებთან საბრძოლველად ურალზე წავიდაო. მერე მე რათ არ წამიყვანა? შორიდან თვალით მაინც დამენახა ის ვიღაც კოლჩაკია... ეხ, რომ შემეძლოს მეც სხვებივით დიდი ვიყო, მაშინ ხომ მეც ჯარისკაცებს გავყვებოდი და არც მამა დამიშლიდა“... ვასოს თვალებში ცრემლები მოერია. ლამის ატირდეს...

— მოდი წავიდეთ, ვასო, პეტრეც წამოვა, — ეუბნება გრიშა.

— სად გინდა წავიდეთ?

— ფრონტზე, ურალში. ჩემი ძმაც იქ არის; მერე იცი, როგორი ლონიერია? ოცდაათ კოლჩაკს მოერევა. ნამდვილი კომანდირია.

— დედა რომ არ გამომიშვებს?

— ვუთხრათ, სათევზაოდ მივდივართ-თქო.

— მერე პეტრე წამოვა?

— გეუბნები, თვითონ იხვეწება...

ვასომ შინისაკენ მოჰკურცხლა.

— ტბაზე მიდიან ბიჭები სათევზაოდ. მეც წავალ... გრიშას დავპირდი, გამიშვი, დედილო, ნუ დამიშლი, — ემუდარებოდა ვასო დედას, რომელიც

— ბიჭილო, შეც წამიყვანე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმოდგინედ მისდგომოდა სარეცხს და სამასლაათოდ სრულიად არ ეცალა.

— შვილო, ახლა ბნელი ღამეებია, რომ რამე გაგიჭირდეს, სად გეძიო? ხვალ წადი.

— არა, დედილო, ამხანაგები რას იტყვიან!.. აი, გრიშაც მეძახის... წავალ... ახლა ნუ გამაწბილებ.

ვასო დედას ყელზე შემოეხვია.

— დამანებე, შვილო, თავი, ხომ ხედავ, საქმეზე ვარ. წადი, მხოლოდ, იცოდე, ჭკვიანად იყავი, წყალში არ ჩაყვინთო და ცოდვა არ შემამთხვიო.

გახარებულმა ვასომ საკუჭნაოში თუნუქის საჩაე მონახა, პურებით სავსე ჩანთა მხარზე გადაიკიდა და ქუჩაში გამოვარდა.

— ნახვამდის, დედი, ხვალ საღამომდე აღარ დავბრუნდები, — მიაძახა შორიდან.

პეტრე და გრიშა ჭიშკართან ქვაზე ჩამომსხდარიყვნენ...

— წავიდეთ, ბიჭებო?

— წავიდეთ...

— მერე გზა ვიცით?

გრიშა მათზე ორი წლით უფროსია, გზაც უკეთ იცის და ამიტომ ერთხმად წინამძღოლად ის ამორჩიეს.

— ბიჭებო, მხოლოდ ფრთხილად, გზაში თეთრგვარდიელები შეგვეჩეხებიან, ვუთხრათ, რომ ჩვენ წითლებისაგან დევნილები ვართ, გამოქცეულები, ღამის გასათევი ბინა ვთხოვოთ, — არიგებს გრიშა.

ბავშები მდინარის ნაპირს შეუყვენ, ქალაქის განაპირა წისქვილი უკან მოიტოვეს, ლაქაშიანი მიდამოები გადასჭრეს და სოფლის შარაზე გამოვიდენ.

მოსალამოვდა, მზემ უკანასკნელად სხივები მაღალი ხის კენწეროებს სტყორცნა და შორეული ტყის გადაღმა წყნარად ჩაიმალა.

ბალახებში გაისმა მინდვრის ჭრიჭინების ხმა, ხის შტოებზე ციცინათელები პატარა ყვითელ შუქებივით აციმციმდენ და დასავლეთიდან თბილმა ქარმა დაუბერა სოფლებს.

ორი საათის სიარულის შემდეგ ბავშებმა ტყეში შეუხვიეს. წინ ვიწრო ბილიკებზე მიდიოდა გრიშა და ამხანაგებს ამხნევებდა:

— არ შეშინდეთ, აქ თეთრგვარდიელები ვერ შეგვამჩნევენ და გზაც უფრო მოკლეა.

მოიქანცენ.. ტყე დაუსრულებელი აღმოჩნდა და სასოწარკვეთილი გრიშა ჩქარობდა როგორმე



სამკერვალო კოლექტივში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახლობელ სოფლამდე მიეხწიათ. ბოლოს სრულიად ღონეგამოლეულებმა გადასწყვიტეს გათენებამდე სადმე ტყეში ხის ძირს შეფარებოდენ, რომ ამ დროს მოულოდნელად ტბის პირას ამოჰყვეს თავი.

სქელი ღრუბლებიდან მთვარე ოდნავ იხედებოდა და ტბის ნახევარ მხარეზე განუკვრეტელი სიბნელე იდგა.

— ამაღამ აქ დავბინავდეთ..

ერთხმად გადასწყვიტეს ბავშებმა და ტბის ბალახიან ნაპირზე წამოწვენ.

— აქ სადა ვართ?—იკითხა პეტრემ.

— მე თვითონ არ ვიცი,—დაიბნა გრიშა,--მგონი ეს არაგზის *) ტბა უნდა იყოს, ახლა რას გაიგებ, ღამეა, ხვალ დავათვალიეროთ. უჰ, რამდენი კოლო ყოფილა, ნამდვილად დაგვჭამენ, თუ ცეცხლი არ გავაჩაღეთ.

ბავშებმა ხმელი ფიჩხი მოაგროვეს, ცეცხლი დაანთეს და ჩაიც მოადუღეს. ვასო ისე დაღლილიყო, რომ ხელ-ფეხს ძლივსღა ამოძრავებდა; ცეცხლის პირას უნებური მთქნარება აუტყდა და კისერმოგრეხილს იქვე მიეძინა.

დილით ყველაზე ადრე წამოხტა პეტრე, რადგან მზემ ხის შტოებიდან თვალებში მკვეთრად ჩაუშუქა და გამოაღვიძა.

ბალახებში გაწოლილი გრიშა და ვასო ისევ ტკბილად ხვრინავდენ.

— ჰეი, ვაჟკაცებო! მამაკაცებო! ადექით, უკვე გათენებულია...

აღვიძებდა პეტრე ამხანაგებს.

— მე ხომ ვთქვი,—თვალების ფშვნეტით ამბობს გრიშა,—არაგზის ტბასთან ახლოს მივედით მეთქი, ცოტა გზა აგვრეფია, მაგრამ არა უშავს რა, აი, გახედეთ...

ბავშებს თვალწინ გადაეშალათ ცის ლაჟვარდივით სუფთა და გამჭვირვალე ტბა; ტბის გალმა ნისლიან ნაპირზე მოჩანდა მაღალი ხეები, ლამაზად ჩამწკრივებული ქოხები, და იმას იქით ცამდე აწვდენილი სამრეკლოს გუმბათი მზის სხივებზე ოქროსფრად ბრწყინავდა.

— ჰო და წავიდეთ იქ,—განაგრძო გრიშამ,—ვინ იცის, იქნებ იქ არიან ჩვენები.

ამხანაგები უსიტყვოდ დაეთანხმენ და სოფლის მიმართულებით ტბის პირს გაუყვენ. ამ დროს მახლობლად ცხენების ჭიხვინი გაისმა.

შეჩერდენ.

— დაკვირდით, ჩვენები ხომ არ მოდიან?—წამოიძახა პეტრემ.

— ჩვენები კი არა, ყაზახებია, წყეული ყაზახები... დაგვიჭერენ, ვაიმე,—ყვიროდა პეტრე.

*) არაგზი დიდი ტბაა ურალის მთებში.

მართლაც, ბუჩქებიდან შუბზე მიმაგრებული სამფეროვანი პატარა დროშებით მათკენ მოჰქროდა ორი მხედარი.

— სსს... ჭკვიანად, არ დაიბნეთ, ახლა ჩვენ უკვე თეორების ხელში ვართ,—არიგებდა გრიშა ამხანაგებს.

მხედრები ბავშებს მიუახლოვდენ და ცხენები უცებ შეაყენეს.

ყაზახმა, რომელსაც საკმაოდ გრძელი, წითელი ულვაშები ჰქონდა, ხელში მომარჯვებული მათრახი გრიშას ცხვირთან აუთამაშა და მკაცრი ხმით შეეკითხა:

მხედრები ბავშებს მიუახლოვდენ და უცებ ცხენები შეაყენეს.

— ვინა ხართ? საიდან? ჩქარა...

გრიშა სახეზე საცოდავად დაიღრიჯა, ამხანაგებს ჩუმად თვალით ანიშნა და ტირილით გაჰყვა:

— ძია, ნუ გაგვიწყრებით, ჩვენ ლტოლვილები ვართ, ჩვენები ყველანი გაიქცენ...

— ვინ არიან თქვენები?

— ჩვენ, ძია, უფიმელები ვართ,—უპასუხა გრიშამ, და რომ სოფლელ ბიჭად თავი მოეჩვენებია, ხალათის სახელოთი ცხვირი უზრდელად მოიხოცა.

— მერე ვის გამოექეცით?

გრიშამ კიდევ ერთხელ თვალით ანიშნა ამხანაგებს და შესაბრალისი ხმით განაგრძო:

— წითლებს გამოვექეცით... ღამე იყო, გზა დაგვებნა...

წითელულვაშებიანი წუთით ჩაფიქრდა, შემდეგ მეორე ყაზახს მიუბრუნდა და უბრძანა:

— პეჩონკინ! ბავშები ახლაკე პოლკოვნიკს წარუდგინე.

პეჩონკინმა სამივენი წინ აიდენა, შუა სოფელში ერთ დიდ ხის შენობასთან მიიყვანა, ცხენიდან მარდად ჩამოხტა და მორიგეს მიმართა:

ეროვნული ბიბლიოთეკა



პიონერები სწავლობენ სამხედრო საქმეს.

— მოახსენე მის მაღალკეთილშობილებას, რომ მოყვანილია ტყვეები, ჯაშუშები არიან.

მორიგემ გაიცინა.

— როგორ? ჯაშუშები? ესენი?—და ბავშებს დააცქერდა.—ამიტომ ბატონი პოლკოვნიკის შეწუხება სირცხვილიცაა, ახლა მას სძინავს. მერე ესენი არიან ჯაშუშები? პეჩონკინ! შენ ხომ არ შეიშალე? ძუძუმწოვარა ბავშები და ჯაშუშობა?

— ეგ ჩვენ ვიცით, შენ გადასცემ იმას, რასაც გეუბნებიან.

— პოლკოვნიკს ახლა სძინავს და როცა გაიღვიძებს, მოვახსენებ, მხოლოდ, იცოდე, მისი მაღალკეთილშობილება თქვენ ამისთვის გაგირისხდებათ. მანამ კი ბავშები ასეულს გადააბარე.

პეჩონკინი კარგახანს იდგა ჩაფიქრებული, მერე ორჭოფულად აიჩეჩა მხრები, ცხენს აღვირში ხელი ჩაჰკიდა და ბავშებს უბრძანა უკან გაჰყოლოდენ. „საქმე გავიჩინე, რაღა, მოდი და სდიე ახლა ამ ცხვირმოუხოცავ ბავშებს“—ბუტბუტებდა თავისთვის პეჩონკინი.

ბოლოს შევიდენ ერთ ფართო, ბალახით გადამწვანებულ ეზოში, სადაც ჯარისკაცები წვნიან ქვაბებს ირგვლივ შემოსხდომოდენ და მადიანად ილუკმეპოდენ.

— ესენი ტყვეებია, ტბასთან დავიჭირეთ, დარჩებიან თქვენთან და თვალყური ადევნეთ. ეშმაკმა უწყის, ვინ არიან ან საიდან მოდიან,—უთხრა ფარაჯებზე მოფთხნილ ჯარისკაცებს პეჩონკინმა, მერე ცხენს მკვირცხლად მოახტა და გააჭენა

ჯარისკაცები ბავშებს შემოესიენ.

— საიდან ხართ?—შეეკითხა ერთი.

გრიშამ თავი მაღლა ასწია.

— ჩვენ უფიმის გუბერნიიდან ვართ, ლტოლვილები, გზა დაგვებნა.. სამი დღეა ვშიმშილობთ.

ჯარისკაცებმა მამობრივი სიყვარულით შესთავაზეს პური და ფაფა.

— თქვენ არ შეგეშინდესთ, ჩვენც გლეხები ვართ, თქვენი ტოლი შვილები მყავს,—ამშვიდებდა მათ ჭაღარა ჯარისკაცი.

— ახლა ყველას თავგზა აებნა,—თავისთვის ჩაილაპარაკა დაფლეთილ მაზარაში გამოხვეულმა,—აი, მეც დატყვევებული ვარ, წითლები კი რატომღაც იგვიანებენ...

— ტსსს!—მიაძახეს აქეთ-იქიდან.—სემიონოვო! ცოტა ენას კბილები მოუჭირე, თორემ პირველ რიგში გასაღდები.

ჯარისკაცები ერთმანეთს ეჩურჩულებოდენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე კუთხეში მშიერი ბავშვები კი ფაფით სავსე ქვაბიდან ხარბად ილუკმებოდენ. გრიშა ვასოს ჩვეულებრივად არიგებდა:

— თქვენ იყუჩეთ, ხმა არ გამოიღოთ. თუ რამეს შეგვეკითხებიან, მე ვუპასუხებ.

— მოდი გავიქცეთ, ადვილად მოვახერხებთ, ჩვენი გაპარვა აზრადაც არ მოუვათ და არც გვიყურაულებენ, — სთქვა პეტრემ.

— ჰა, შე დაუფიქრებელო! გავიქცეთ? მერე სად მიდიხარ, როცა არ იცი სად არიან ჩვენები ან რომელი გზა აჯობებს?! თქვენ აქ ისხედით და მე ფრთხილად გამოვიკითხავ. აქ ყველა ჩვენებია, შეიძლება მითხრან.

გრიშამ ცარიელი ქვაბი სამზარეულოში შეიტანა, ჯარისკაცების ახლოს ჩამოჯდა და ნაღკლიანის ხმით, თითქო თავისთვის, ჩაილაპარაკა:

— ახლა სადღა უნდა წავიდეთ?

— დაჯექით და იყავით, რა გეჩქარებათ? ამაღამ მაღლა სათივეში აძვერით და თბილად ჩაიძინეთ, — სიკილით უთხრა ჭალარა ჯარისკაცმა.

საღამოს ჟამს ბავშვები შეშის საწყობის სხვენში ავიდენ და სურნელოვან თივაში გაეხვიენ. თივაში ძლიერ თბილოდა და პეტრეს და ვასოს ჩქარა ჩაეძინათ. როცა კარგად დაღამდა და ცაზე ვარსკვლავები აციმციმდენ, ქვეშ საწყობებში რაღაც ჩურჩული გაისმა. გრიშა გაინაბა.

— შენ იცი, სად არიან წითლები?

— ვიცი, აქედან ოცი ვერსის მანძილზე იქნებიან, — ხრინწიანი ხმით უპასუხებდა ვილაც, — ბალჩას რომ გავცილდებით, ტყემდე ერთი ველი უნდა გავიაროთ, ტყის იქით პატარა მდინარე, — ადვილად გადავლახავთ; იქიდან მარჯვნივ შევუხვევთ და წითლების შუა ბანაკში ამოვყოფთ თავს.

— დიდი სიფრთხილე გვმართებს, იქნებ კიდეც დაგვიჭირონ, ყველა გზაში ჩასაფრებულები არიან.

— ჰაი, შე მხდალო მეომარო! რამ შეგაშინა? ვიტყვით, რომ ჩვენ მზვერავები ვართ.

გრიშა სიხარულმა აიტაცა: ბალჩა, ველი, ტყე, მდინარე... ყველაფერი გაიგონა და კარგადაც დაიმახსოვრა. ერიჰაა, გზა უკვე ნაპოვნია... და ცოტა აკლდა თავისებურად არ ჩაიღიღინა, რომ ამ დროს სხვენში თივის შრიალი გაისმა.

— ჰეი, მანდ ვინ არის? — გასძახა სემიონოვმა, რომელიც სხვენში ამოსულიყო და ტანზე ფარაჯაშემოხვეული დასაწოლად ემზადებოდა.

გრიშა გაიტრუნა, თითქოს არც გაუგონია.

— ალბათ სძინავსთ. ჰო, ესენი ლტოლვილი ბავშვებია, დაღლილები იქნებოდენ, — სთქვა მეორემ.

ჯარისკაცები იქვე წაგორდენ და მალე მადიანი ხვრინვა ამოუშვეს.

გ. ნ.

(შემდეგი იქნება)

ბორჩალოს საბავშვო სახლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ბავშთა კომორგანიზაციის ხუთი წლის თავზე.

ხუთმა წელმა განვლო ბავშთა კომუნისტური მოძრაობის დაწყების დღიდან საქართველოში.

საქართველოს მშრომელი ხალხის რევოლუციონურ-კომუნისტურ მოძრაობაში პიონერთა ორგანიზაციამ ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიჭირა.

ლენინი მშრომელ ახალგაზრდობას და მის ხელმძღვანელ კომკავშირს ასწავლიდა: იმისთვის, რომ ახალი თაობა მოემზადოს კომუნისტური საზოგადოების მშენებლად, საჭიროა მთელმა ბავშთა მასამ მიიღოს მონაწილეობა მოზრდილ თაობასთან ერთად დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების აღმშენებლობის ყოველ დარგშიო. ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენადაც უფრო დაუკავშირებს ბავშთა მასა თავისი სწავლის შინაარსს საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობის საქმეს, იმდენად უფრო გახდება შესაძლებელი, რომ მთელი მოზარდი თაობა მოემზადოს კომუნისტური საზოგადოების შენებისათვის.

პიონერები ოქტომბრის რევოლუციის დღეს. დემონსტრაციის დაწყება. ყველაზე წინ მოდიან პიონერები.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კომპარტიამ მთავარი ყურადღება მიაქცია ახალი თაობის დარაზმვის საკითხს.

ამგვარად, ოქტომბრის შემდეგ იწყება პიონერთა მოძრაობა. ბავშთა კომუნისტური მოძრაობა არის დიდი ოქტომბრის რევოლუციის პირმშო შვილი.

1918 წელს მენშევიკების უშუალო დახმარებით ჩამოყალიბდა საქართველოში ეგრეთწოდებული „შევარდენის" ორგანიზაცია. ამ საზოგადოების ისტორიაზე ბევრი ლაპარაკი არ ღირს, მხოლოდ უნდა აღინიშნოს მისი ბუნების ორი დამახასიათებელი მხარე: 1. „შევარდენის" საზოგადოება არ იყო მარტო სპორტიული საზოგადოება, არამედ იგი იყო ნაციონალისტური ორგანიზაცია—ესე იგი, ამ ორგანიზაციაში იღებდენ მხოლოდ ქართველებს.

2. „შევარდენის" საზოგადოება აერთიანებდა მხოლოდ შეძლებულთა შვილებს.

საქართველოში არსებობდა „სკაუტის" ორგანიზაციაც, რომელიც ძირითადად ბევრად არ განსხვავდებოდა „შევარდენისაგან".

ეს ორგანიზაციები 1922 წლამდე არსებობდა.

1921 წელს ხდება საქართველოს გასაბჭოება.

1922 წლის ნოემბრის 23-ს სახალხო კომისართა საბჭო სცემს კანონს „შევარდენის საზოგადოების" დაშლისა და კომკავშირის მიერ ბავშთა მოძრაობის პროლეტარულ საფუძვლებზე ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ.

პირველი ნაბიჯი კომუნისტური მოძრაობის ჩამოყალიბებისათვის ტფილისში გადაიდგა.

აქ 1922 წელს საფუძველი ეყრება პიონერთა ორგანიზაციის (ანუ „სპარტაკის" ორგანიზაციის, როგორც ვუწოდებდით იმ ხანებში) პირველ კოლექტივებს.

„შევარდენის" საზოგადოების დაშლის მეორე დღიდანვე შეუდგა ტფილისის კომკავშირი მუშაობას - მუშათა ბავშების დარაზმვას ახალ—პროლეტარულ—საფუძვლებზე. კომკავშირმა „სპარტაკის" ორგანიზაციას (ბავშთა კომმოძრაობას) შემდეგი მთავარი ამოცანები დაუყენა:

მოზარდი თაობის კოლექტიური თანაცხოვრებისადმი შეჩვევა, შრომის სიყვარულის შთანერგვა ბავშებში, მომზადება კომკავშირის შემცვლელის და სხვ.

ამ ამოცანის შესრულების მიზნით საჭირო იყო ბავშთა ორგანიზაციაში („სპარტაკში") მიღებულ ყოფილიყვნენ პირველ რიგში მუშათა და გლეხთა შვილები.

ტფილისის კომკავშირი შეუდგა კოლექტივების („სპარტაკის" ძირითადი უჯრედების) **საწარმოო საფუძვლებზე ჩამოყალიბებას; კოლექტივები პირველად ყალიბდებიან ფაბრიკა-ქარხნებთან** და მათში შედიან მუშათა შვილები.



მოწაფეები ოქტომბრის დღეს.

მუშები აღტაცებით ეგებებიან ამ საქმეს და ყველანი უწყობენ ხელს კოლექტივების ჩამოყალიბებას. თამბაქოს ქარხანაში საზეიმოდ იხსნება პიონერ-კოლექტივი. მბეჭდავთა კავშირის მუშების საერთო კრებაზე გამოვიდენ მუშები და მოითხოვეს თავისი შვილებისთვის პიონერ-კოლექტივის აუცილებლად ჩამოყალიბება. კომკავშირი თანდათანობით აარსებს კოლექტივებს მთავარ ქარხნებშიც. კომკავშირს გადააქვს მუშაობა საბავშო სახლებიც და იქაც აარსებს კოლექტივებს. საბავშო სახლებში, ქარხნების

შემდეგ, ყველაზე კარგი პირობები იყო ბავშთა მოძრაობისათვის, რადგან ამ სახლების ბავშები ყველანი უპატრონონი იყვნენ.

ამის შემდეგ თანდათან დაიქსელა პიონერ-კოლექტივებით მთელი საქართველო.

1922 წლის ბოლო და 1923 წლის პირველი ნახევარი საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის ისტორიაში ორგანიზაციულად ჩამოყალიბების ხანად აღინიშნება.

ბავშთა მოძრაობის ზრდას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამაც, რომ შესაფერად იყო დაპყრობილი საზოგადოებრივი ყურადღება. ტფილისში, სოხუმში, ბათუმში— მტკიცე კურსი იქნა აღებული, რომ ორგანიზაციის წევრთა რიცხვი თანდათან გაზრდილიყო და მასში შესულიყვნენ მუშების შვილები.

თუ 1923 წ. სექტემბრამდე პიონერთა მოძრაობა („სპარტაკი") აერთიანებდა 5500 პიონერს, 1924 წლის პირველ ნახევარში იგი გაიზარდა 8,500-მდე.

კოლექტივების მუშაობას სისტემატიური ხასიათი მიეცა. ზოგ მაზრაში (ქუთაისის და სხ.)ისე, როგორც ტფილისში, შემოღებულ იქნა ერთიანი პიონერული დღეები, სადაც ტარდებოდა საუბრები კომკავშირის ცხოვრედან და სხვ.

ილიჩის გარდაცვალების შემდეგ **საქართველოს ბავშთა კომ. ორგანიზაციას, როგორც ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში, „ლენინის სახელობის ნოარჩ პიონერთა ორგანიზაცია" ეწოდა.** პიონერები უმთავრეს ყურადღებას აქცევენ ლენინის ანდერძების შესწავლას, ამავე დროს საკავშირო მე-XIII-ე პარტყრილობას შესაფერი დადგენილებაც გამოაქვს პიონერთა მოძრაობისათვის პარტიის მხრით ყურადღების მიქცევის შესახებ. ამის შემდეგ პიონერთა ორგანიზაციის მატერიალური მდგომარეობა უმჯობესდება, პედაგოგებიც ებმებიან საქმეში და ეხმარებიან კომკავშირს პიონერთა მოძრაობის დარგში მუშაობაში **მთელი საკავშირო მასშტაბით და საქართველოშიც.**

ამ ხნიდან იწყება ახალი ხანა. ამ ხნიდან იწყება პიონერთა ორგანიზაციის მასიური ზრდა. პიონერთა მოძრაობა მოედო საქართველოს ჩამორჩენილ მაზრებსაც. ორგანიზაციის სწრაფი ზრდის მაჩვენებელია ის, რომ მე-VII-ე ყრილობამდე (1927 წ.) პიონერთა ორგანიზაციამ გააერთიანა 12000 პიონერი.

1924 წლის მეორე ნახევრიდან პიონერთა ორგანიზაციას მუშაობა სამაზრო ცენტრიდან სოფლად გადააქვს და თანდათან რაზმავს ღარიბ გლეხთა ბავშების მასას. ამის შემდეგ ორგანიზაცია იზრდება ერთი-ორად და იგი აერთიანებს 1925 წლის მიწურულში 57.000 პიონერს.

პიონერთა ორგანიზაცია უკვე მთელი საზოგადოების ყურადღების საგანი შეიქნა.

პიონერთა მოძრაობა სრულიად დაუკავშირდა ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის ყველა დარგს.

1926-7 წელს პიონერთა ორგანიზაციას უკვე 75000 წევრი ჰყავს.

ბევრი მიხწევა აქვს პიონერ-ორგანიზაციას თავისი არსებობის 5 წლის თავზე.

პიონერ-ორგანიზაცია ღირსეულად ასრულებს ლენინის ანდერძს: **„სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა".**

პიონერი მართლაც სამაგალითოა ჩვენს სკოლაში. სწორედ პიონერთა ორგანიზაციამ, კომკავშირის უშუალო ხელმძღვანელობით, მოახდინა ერთგვარი რევოლუცია ჩვენს სკოლებში. ფორპოსტები ჩვენი სკოლის კედლებში გადაიქცენ მთავარ ორგანოებად მოსწავლეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში; საბჭოთა ხელისუფლებისათვის პიონერთა ორგანიზაცია გადაიქცა ერთ მთავარ დასაყრდნობ ძალად უპატრონო ბავშთა შორის მუშაობისათვის.

სახ. პოლიტ. სამართველოს პიონერ-კოლექტივის ცოცხალი გაზეთი ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად.

პიონერთა ორგანიზაცია ასრულებს კომკავშირის შემცვლელის როლს.

პიონერთა ორგანიზაციამ მრავალი ბავში გადასცა თავისი რიგებიდან კომ. კავშირს. საქართველოს პიონერთა ორგანიზაციაში, სწორი შინაარმზრდელობითი მუშაობის წარმოების გამო, დღიდან მისი დაარსებისა მტკიცე საფუძვლებზე სდგას ბავშთა ინტერნაციონალური აღზრდა.

დღეს პიონერ-კოლექტივები დაკავშირებული არიან არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკების პიონერებთან, არამედ საზღვარგარეთის პიონერებთანაც და ეცნობიან მათ ცხოვრებას.

საქართველოს კომუნისტურ პარტიას და კომკავშირს პიონერთა ორგანიზაციის ხუთი წლის თავის ზეიმის დღეს სიამაყით **შეუძლიათ აღნიშნონ, რომ ისინი ზრდიან ახალთაობას, რომელიც იქნება აქტიური მებრძოლი საბჭოთა ხელისუფლებისათვის და მჭედელი მომავალი საზოგადოებისა.**

ა. მდივანი.

მშრომელთა ბავშებო, დაირაზმეთ ლენინის დროშის ქვეშ, დაირაზმეთ პიონერთა რიგებში.

ტფილისის სამიათასმა პიონერმა ოქტომბრის რევოლუციის პირველი ინსცენირება მოაწყო.

„ოქტომბრის რევოლუცია 1927 წელში“.

ოთხი შესაკრები პუნქტი და ყველგან წითელი ყელსახვევები. ათ საათზე შეიკრიბენ და შესაკრები პუნქტები აივსო მხიარულ ბავშთა ხალისიანი ხმაურით; ყველა კოლექტივი გამოცხადდა.

ტფილისის სამიათასი პიონერი გამოცხადდა სამხედრო-რევოლუციონურ თამაშში-ინსცენირობაში მონაწილეობის მისაღებად; თამაშს ეწოდება „წითელი ოქტომბერი“. რას გამოჰხატავს ეს ინსცენირობა?.. ამის შესახებ პასუხს იძლევა ა. ლ. კ. კ. ტფ. კომიტეტის მიერ შემუშავებული წერილობითი გეგმა.

მთიელთა საბავშო სახლის პიონერები.

ინსცენირობაში გამოყვანილი არიან: დროებითი მთავრობა კერენსკის მეთაურობით, სიკვდილის რაზმი, იუნკრები, ოფიცერთა რაზმები, რომელნიც მთავრობას იცავენ, და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, სტამბები, „პრავდას“ რედაქცია, ჯარის ნაწილები, ლენინგრადის მუშები, წითელი გვარდია, მეზღვაურები და, ბოლოს, ბოლშევიკური პარტიის ბელადები.

ახმაურდა დოლები, პიონერთა ბუკებმა სპილენძის ხმა გაშალეს ჰაერში, პიონერები სავსენი არიან სიხარულით და ხალისით, კარგა ხანია ასე მრავალრიცხოვნად ქალაქ გარეთ არ წასულან.

განზრახული იყო თამაშში მონაწილეობა მიეღო არა უმცირეს 12 წლის პიონერისა, მაგრამ სად შეიძლებოდა ამის თავიდან აცილება. ვისაც კი გაეგო, თვით 8 წლის ლილიპუტებიც კი, მოზრდილთა მიხედვით გამოქცეულიყვნენ შესაკრები პუნქტისაკენ.

რევოლვერებით ხელში პიონერები განწყობილნი არიან მეტად საქმიანად და საომრად. თუმცა რევოლვერები ნამდვილი, ფოლადისა არ არის, არამედ „პუგაჩებია“ პრობკებით, მაგრამ ეს მაინც არ სცემს მათ მხედრულ მხნეობას.

მთიელთა საბავშო სახლის ბავშები შესაკრებ პუნქტზე ნამდვილ საშუალო საუკუნის მეომრებივით დარაზმულნი გამოვიდენ: ჩოხებში, ჯავშნიან აბჯარში, შუბებით ხელში; ისინი ნამდვილ შიშის ზარს სცემდენ ხუთი წლის ოქტომბრელებს.

— ბიჭებო, მე ორმოცდაათი პრობკა მაქვს, ჩვენი კოლექტივი ყველაზე უფრო მეტ მხნეობას გამოიჩენს ბრძოლაში,—სიხარულით მიმართავს ერთ-ერთი წითელყელსახვევიანი თავის რგოლს.

— იი, არ დაივიწყო, რომ ჩვენ ვართ „კერენსკის სახელობის სიკვდილის რაზმი“. ვერავითარი პუგაჩები და პრობკები ჩვენ ვერ გვიშველის,— გულჩათხრობილი უპასუხებს მას მისივე რგოლის პიონერი.

და, მართლაც, ამ რაზმის თვითეულ ბავშს აკერია პაგონები თავის ქალისა და ძვლების ნიშნებით და აქვთ საერთო დროშა ასეთივე ემბლემით. დანარჩენ რაზმელებსაც აკერიათ ფერადი პაგონები, ან წითელი ბანტები, ანდა მკლავებზე მიკერებული აქვთ ლუზები, დროებითი მთავრობის ჯარისკაცების და მეზღვაურების განმასხვავებელი ნიშნები.

მხიარულად, სიმღერებით, მედოლეთა და მებუკეთა გულმოდგინე მუშაობით ამტყდარი ხმაურით, პიონერები ქალაქს გარეთ გაემართენ. ფრიალებდენ წითელი დროშები, ისინი თითქოს ესალმებოდენ მზეს, რომელიც ათბობდა გარემოს არა ისე, როგორც შემოდგომას შეეფერება, არამედ რაღაც განსაკუთრებული სიმხურვალით, ზაფხულისებურად. ვერავინ ვერ იტყოდა, ვინც შეხედავდა მოკლე შარვლებში და მოკლე კაბებში გამოწყობილ პიონერებს, რომ ახლა შემოდგომაა, რომ სადღაც მთებს იქით ახლა თოვლი მოდის.

უნდა გენახათ მხიარული, სიცოცხლით სავსე პიონერთა სახეები, რომ გაგეგოთ ქალაქ გარეთ გასეირნების მთელი სიხარული. სიცილით და ხმაურობით აივსო ქვეითი სკოლის ბანაკის მოედანი. ჯერ თამაში არ იწყებოდა, მის მოლოდინში პიონერებმა გამართეს თამაში რგოლებით, რაზმებით: — „ვისი წაყვანა გსურსთ“—გაისმოდა ხშირ-ხშირად მოთამაშეთა ტკბილი წკრიალა ხმები და გატაცებით ეძლეოდენ თამაშს, კარვებში კი სიმღერისა და ტაშის კვრის ხმებში გაიმართა ცეკვა.

ცნობისმოყვარე ბავშთაგან თავის დაფარვით სამმა პიონერმა დაიწყო მღვდლების ტანსაცმელში გამოწყობა. საიდანღაც გაჩნდა ოდესღაც მბრწყინავი ანაფორები, ჯვრები და საცეცხლურები. რამოდენიმე ხნის შემდეგ მშვენიერ ბავშთა სახეების ნაცვლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩნდენ საშინელი ელამი, გრძელთმიანი და წითელცხვირიანი (ლოთობის ნიშანი) მღვდლები.

რამოდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ეს ღვთის მსახურნი, დიაკვნის თანხლებით დამშვენებულნი, ყვი-

პიონერები მღვდლებად ირთვებიან.

თელი ბაირაღით მოედანზე გამოვიდენ, ბავშთა მთელი ყურადღება მათკენ იქნა მიმართული. პირდაპირ შესაბრალისნი იყვნენ პიონერთა უთვალავ რაზმით ალყაშემორტყმული და ანაფორაში გამოწყობილი მღვდლები.

მღვდლებმა დაიწყეს მოქმედება. ჯვრითა და დროშით მივიდენ დროებითი მთავრობის „ჯართან“ და მიმართეს: „ძვირფასო ძმებო და ნამდვილ მართლმორწმუნე მეომრებო! ნუ შეგეშინდებათ სიკვდილის, რადგან სიკვდილი არის ნება უფლისა ჩვენისა“... შემდეგ დაუწყეს ხვეწნა, რომ წასულიყვნენ ომში.

მაგრამ გამოჩნდა ავიტატორი და ჯარისკაცებმა, ჯერ ცალკცალკე დაძახილებით, შემდეგ კი მთლიანი ხმაურით და ყიჟინით გაყარეს მღვდლები.

კერენსკი, თავისი როლის კარგად მცოდნე ახალგაზრდა პიონერი, ავიდა ამაღლებულ ადგილზე და იქიდან წარმოსთქვა სიტყვა ხალხის მტრების—ბოლშევიკების—წინააღმდეგ აუცილებელი ბრძოლის შესახებ. მაგრამ არაფერმა არ უშველა, ბოლშევიკები ნიჭიერ აგიტაციას ეწეოდენ, ჯარისკაცები არ დაემორჩილენ კერენსკის და ძლიერი „ურას“ ძახილით გადავიდენ ბოლშევიკების მხარეზე.

ბოლშევიკები გაძლიერდენ. ორიათასზე მეტი პიონერი მათი მეომარია. კერენსკის მხარეზე კი მხოლოდ „სიკვდილის რაზმი“ და ოფიცრობაა. დაიწყო შეტაკება. პუგაჩები ამოქმედდენ. სროლის ხმა აყრუებდა ყურთასმენას სწორედ ისევე, როგორც ნამდვილი ომის დროს. სროლა ერთ-მეორეს ხშირდებოდა და ბოლშევიკების პიონერები თანდათან წინ მიდიოდენ, იერიში მიჰქონდათ საზამთრო სასახლეზე.

— წინ, გადამწყვეტი ბრძოლისაკენ, ბიჭებო, ალყით!...

ამ სიტყვებზე ნამდვილი თავდასხმა მოხდა. წალეკეს ოფიცრები. გვერდები ჩაუზილეს იუნკრებს, ფანჯრებიდან და კარებიდან შეიჭრენ საზამთრო სასახლეში. ვაშაااა!!! სასახლის თავზე წითელი დროშაა. „ძალა უფლება საბჭოებს“, „ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს“—გაისმა მხიარული ხაები და სიხარულმა მოიცვა ყველა.

— პიონერებო, იყავით მზად!..

„მზად ვართ“—იგრიალა პასუხად და „რევოლუციით“ აღტყინებულმა ბავშობამ დასძახა ინტერნაციონალი. ინსცენირობა დამთავრდა, შესწყდა სროლა. სამ საათზე პიონერები მოეწყვენ მოედანზე.

გატარებული დღით და ამ თამაშით კმაყოფილი პიონერები გაემართენ ქალაქისაკენ. ახმაურდენ ისევ დოლები, საყვირები, ისევ გავრცელდა მხიარული სიმღერები.

როგორია დასკვნა?.. ჩვენ გვგონია შემდეგი: უნდა მივესალმოთ ტფილისის პიონერული ორგანიზაციის ასეთ დაწყებებს, რადგან პიონერები მოწადინებულნი არიან, რაც შეიძლება ხშირად გავიდენ ხოლმე ქალაქს გარეთ მთელი თავისი შემადგენლობ-

„რევოლუციონური ჯარების“ იერიშები.

ბით. ამასთანავე ერთად საჭიროა ასეთი ინსცენირობების მოგონება, მათი წინდაწინ მოფიქრება და ორგანიზაციული სახის მიცემა—ინსცენირობის პირობების და მონაწილეთა წლოვანების მხედველობაში მიღებით.

ედ. შმერლინგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერ-ორგანიზაციის შემოწმება.

აფხაზეთი

სოფ. ქვემო-ეშერის პიონერების მუშაობა.

ჩვენი ქვემო-ეშერის ნორჩ-პიონერთა კოლექტივი დაარსებულ იქნა 1927 წლის თებერვალში.

პირველ ხანებში კოლექტივში შემოვიდა მხოლოდ 50 ბავში. მაგრამ არ გაუვლია რამდენიმე კვირას, რომ კოლექტივმა ნელ-ნელა იწყო ზრდა, როგორც რიცხობრივად, ისე თვისობრივად. თუმცა კოლექტივი დაარსებიდან მრავალ დაბრკოლებას შეხვდა, მაგალითად, არ იყო შენობა სწავლისათვის, წითელი კუთხე, არ იყო დრო, ვინაიდან სკოლაში სწავლობდენ ორ შეცვლად და ბავშების უმრავლესობა ცხოვრობდა სკოლიდან 2—3 ვერსის მანძილზე, რაც ძალზე უშლიდა ხელს ბავშებს დროზე მოსულიყვნენ კოლექტივის მეცადინობაზე,—ნელა-ნელა ეს დაბრკოლებანიც მოსპობილ იქნა. პიონერები ადრე მოდიოდენ და მეცადინეობა კოლექტივებში წარმოებდა სკოლის გაკვეთილების დაწყებამდე. კოლექტივი ნივთიერად ცუდ მდგომარეობაში იყო, ვინაიდან არ არსებობდა შეფი, მაგრამ პიონერებმა თვითონ შეაგროვოს 2 მ. 50 კ. თითომ, შეგროვილი ფულით პიონერებმა შეიკერეს პიონერული კოსტუმები, ნიშნები და ყელსახვევები, ხოლო გადარჩენილი ფულით იყიდეს ქალალდი კედლის გაზეთისათვის, საღებავი, ფანქრები, ნიღბები და სხვა, ხოლო კარადა კოსტუმებისათვის პიონერებმა თვითონ გააკეთეს. დღლი კი კოლექტივს აჩუქა სკოლის მოწაფეთა კოოპერატივმა. ჩვენმა კოლექტივმა შემდეგი დღესასწაულები ჩაატარა: ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე, ქალების დღე, წითელი არმიის დღე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში და აფხაზეთში, 1 მაისი და სხვ. 1 მაისის დღეს პიონერები დაეხმარენ სკოლას ბიბლიოთეკის დალაგებაში. შეუკავშირებელ უფროს მოწაფეებთან ერთად გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთის ორი ნომერი; მოწყობილ იქნა წარმოდგენაც პიონერების ძალებით, რასაც დაესწრენ როგორც პიონერების ყველა მშობელნი, აგრეთვე შეუკავშირებელი ბავშების მშობლებიც.

პიონერების ავტორიტეტი სულ უფრო და უფრო იზრდება, როგორც გლეხებს შორის, ისე შეუკავშირებელ ბავშებს შორის.

ხელმძღვანელი

ესტონური პიონერ-კოლექტივის მუშაობა.

სულ 4 თვეა, რაც ჩვენი კოლექტივი მუშაობს. ბავშები საკოლექტივო მუშაობით ძალზე დაინტერესებულნი არიან. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ მუშაობას ხელს უშლის ზაფხულის მუშაობათა პერიოდი. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვაქვს თუმცა მცირე, მხოლოდ ძალზე ღირებული მიხწევები, სახელდობრ: ბავშებმა დაანებეს თავი ანგლობას (ხულიგნობას), ბავშებს შეგნებული აქვთ დისციპლინა. პიონერები ყოველდღიურად მონაწილეობას იღებენ სამეურნეო და მინდვრის სამუშაოში და საზოგადოებრივ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში. ზოგიერთი პიონერები მონაწილეობას იღებენ ქოხ-სამკითხველოსთან არსებულ დრამატიულ წრეში და დაიმსახურეს მოსახლეობის განსაკუთრებული სიმპატია (ზოგიერთებმა), როგორც მსახიობებმა.

ბევრი დაინტერესებულია „შაშკის“ თამაშით და იშვიათი მოვლენა არაა, როდესაც პიონერი სჯობნის კომკავშირელს ამ თამაშობაში. ზოგიერთ პიონერს აინტერესებს მეცნიერულ-ტეხნიკური საკითხებიც.

პოლიტიკურ საკითხებს პიონერები მხოლოდ ზერელედ იცნობენ, რის მიზეზიცაა უმთავრესად ლიტერატურის უქონლობა ესტონურ ენაზე, რუსული კი ბევრს არ ესმის. მუშაობაში იყო ნაკლიც, უმთავრესად კი ის, რომ ბავშები უმეტეს შემთხვევაში ვერ ესწრებოდენ შეკრებებს, ვინაიდან მინდვრის სამუშაოებზე იყვნენ. არანორმალობა მოსპობილ იქნება სკოლის მეცადინეობის დაწყებიდან, როდესაც შესაძლებელი იქნება კოლექტივის მთელი მუშაობის სკოლაში გადატანა.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველას მშობლები (ერთი ორის გარდა) თანაუგრძნობენ პიონერულ მუშაობას. მოწყობილ იქნა ექსკურსია პიონერების მშობლების და კომკავშირელების მონაწილეობით ზღვის პირად, სადაც ჩატარდა საუბარი ფიზკულტურის მნიშვნელობაზე. სოფლის კოოპერატივმა კი დაპატიჟა პიონერები.

ხელმძღვანელი.

ჩვენი ფეხსაცმლის სახელოსნო.

დიდი ხანია გამგე ლაპარაკობდა ფეხსაცმლის სახელოსნოს შესახებ, რადგანაც ბავშები დადიოდენ დახეულ ფეხსაცმელებში, ხოლო საშუალება ახლის შესაძენად ცოტა იყო. და, აი, ზამთრისათვის მოწყობილ იქნა ფეხსაცმლის სახელოსნო, რომლის ხელმძღვანელი იყო ბერნატოვი. შეიკრიბა ბავშების ჯგუფი, რომელსაც სურდა ამ ხელობის შესწავლა. დააკეთეს მაგიდა, სკამები—ძველი ციფრებისაგან, გაუკეთეს სადგისებს ტარები და დაიწყო მუშაობა. პირველ ხანებში ჩვენ ვაკეთებდით ძველ ფეხსაცმელებს, ხოლო შემდეგ დავიწყეთ ახალის შეკერვა. ბევრი ძველი დავაკერეთ და ახალი 12 წყვილი შეკერეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოსნოს ერთი თვის მუშაობის შემდეგ აღარ იყო უფეხსაცმლო ბავში. ზაფხულში მუშაობა შეჩერდა, ვინაიდან მთავარი საზაფხულო მუშაობა ბოსტნებში წარმოებდა. ზამთარში ხელახლა განვაახლებთ სახელოსნოს მუშაობას.

პიონერი.

დ. ხარაგოულის პიონერები.

(შორაპნის მაზრა).

დ. ხარაგოულში ბავ. კომ. ორგან. დაარსდა 1924 წელს. იყო სულ 50—60 წევრი, მაგრამ სულ მცირე ხნის განმავლობაში გაიზარდა ორგანიზაცია და 100 წევრი გააერთიანა. ამ მოვლენამ გამოიწვია კოლექტივის 2 ნაწილად გაყოფა: პირველ და მეორე კოლექტივად. ეს კოლექტივები დაარსდა სხვადასხვა სახელობით: I-ლი კოლექტივი იყო „ეპოს“ სახელობაზე, მე-II-ე კი „ფილიპე მახარაძის“ სახელობაზე.

ამ დღიდან იწყება მე-II-ე კოლექტივის წევრების გარკვეული გაორკეცებული მუშაობა. ჩამოყალიბდა რგოლები, კოლექტივში ჩამოყალიბდა სხვადასხვა წრე: პიკორთა წრე, დრამ. წრე, და სხვა. გამოვუშვით კედლის გაზეთი, რომელიც პირველად იყო თვიური, შემდეგ ორკვირეული და უკანასკნელად გადაიქცა ერთკვირეულად. ამ გაზეთის უკანასკნელი ნომერი არის № 34. დავაარსეთ წითელი კუთხე, სადაც პიონერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. იქ 120 წიგნამდეა. გამოვიწერეთ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთი, როგორიცაა: „ნაკადული“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და აგრეთვე ჩვენი მთავარი ორგანო—ჟურნალი „პიონერი“. ამ დღიდან დაიწყო წითელი კუთხის აღორძინებაც.

აგრეთვე ვაწყობდით გაფრენებს. დავათვალიერეთ დიდ-ვაკის ღუნვილი ავეჯეულობის ქარხანა. აქ მოხსენება გააკეთა ქარხნის გამგემ და აგვიხსნა მნიშვნელობა ამა თუ იმ მანქანის, როგორ მოძრაობს მანქანა, რის საშუალებით და სხვა შესანიშნავი ამბები. ამ მდგომარეობამ პიონერებში აღტაცება გამოიწვია და ყველანი კმაყოფილი დაბრუნდენ შინ.

გაფრენა მოვახდინეთ ხანდების დანგრეულ ციხეზე და მახლობელ ჩხერის ციხეზე.

პიონერები მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც: შემორაგვეს სასწავლებლის ბაღი მოწაფეების დახმარებით, შემორაგვეს სასწავლებლის ეზო; პიონერებს მოწაფეებთან ერთად უხდებოდათ 1 ვერსის მანძილზე ქვის ზიდვა.

სხვათა შორის, ჩვენ წითელ კუთხეს ამშვენებს პიონერთა ნაწარმოები: ბელადების სურათები, სურათები პიონერის, ჩაქუჩი, ნამგალი, ოროშიმო, პატარა წინდები, ბარი, თოხი, ხანჯალი, ნაჯახი, თოფი და სხვა.

ვატარებთ უფასო წარმოდგენებს, ამით კი კმაყოფილი რჩება გლეხობა. აგრეთვე ვატარებთ ფასიან წარმოდგენებსაც ღარიბი პიონერების და თვით კოლექტივის სასარგებლოდ.

აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ დღესასწაულების ჩატარებაში. ვატარებთ სალიტერატურო დილებს ლექსებით და მოხსენებით, ვატარებთ წარმოდგენებს და სალამოს ამ დღის აღსანიშნავად. აი, ახლაც გვიახლოვდება უდიდესი დღესაწაული — ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავი—და ჩვენც მხიარული და აღტაცებული ვემზადებით ამ დიადი დღის შესახვედრად.

ვ. ჭყოიძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო ცაკის საიუბილეო სესია.

მიმდინარე წლის ოქტომბერში ლენინგრადში ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) საიუბილეო სესია ჩატარდა.

სესიის დღის წესრიგში იდგა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, როგორც, მაგალითად: საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავთან დაკავშირებით, იმ მიხწევებთან დაკავშირებით, რომელიც აქვს პროლეტარიატს ამ ათი წლის განმავლობაში. ამ მეტად საყურადღებო საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ—ამხ. ა. რიკოვმა.

შემდეგ სესიამ იმსჯელა აგრეთვე მთელ რიგ მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, როგორიცაა, მაგ. 7 საათის სამუშაო დღის შემოღება წარმოებაში და სხვა, და ბოლოს მიიღო მანიფესტი. ეს მანიფესტი იმდენად მნიშვნელოვანია, იმდენად საყურადღებოა, რომ მას დაწვრილებით უნდა იცნობდეს თვითეული პიონერი, თვითეული მოსწავლე. ამ მანიფესტში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის უზენაესმა სახელმწიფოებრივმა ორგანომ, ცაკის სესიამ, მიიღო დადგენილება ჩვენს წარმოებებში 7 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ, სასკოლო აღმშენებლობისათვის 15 მილიონის რიგს გარეშე გადადების და გლეხთა გადასახადის კიდევ 10 პროცენტით შემცირების შესახებ და სხვ. მოვიყვანოთ ამონაწერები თვით ამ მანიფესტიდან:

„საბოლოოდ უნდა მოვსპოთ ჩვენი სილატაკე,— ამ მიმართულებით ჩვენ მხოლოდ პირველი ნაბიჯი გვაქვს გადადგმული. ახლად უნდა შევქნათ მძლავრი ტექნიკა ჩვენს მრეწველობაში, მაგრამ ჩვენ ამას მხოლოდ ახლა შევუდექით. ჩვენ უნდა გარდავქმნათ სოფელი ელექტროფიკაციის, კოოპერაციის და კოლექტიურ მეურნეობათა საფუძველზე, მაგრამ ჩვენ მხოლოდ პირველი მიხწევები გვაქვს ამ ფრონტზე. საჭიროა სამეურნეო გზით განვდევნოთ კერძო ვაჭარი და ,,კულაკი". ჩვენ მტკიცედ უნდა წავიდეთ „სახელმწიფო კომუნისაკენ'', ერთი სიტყვით, უნდა მივახწიოთ იმას, რომ ჩვენი ქვეყანა გავხადოთ ნამდვილ სოციალისტურ ქვეყნად, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ჩვენს წინაშე უძნელესი ამოცანებია წამოჭრილი. ბრძოლაში მათი გადაჭრისათვის, მუდმივ კლასობრივ ბრძოლაში ბურჟუაზიასთან, „კულაკთან" და ბიუროკრატიასთან, მუშათა მასებსა და ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით, მჭიდრო კავშირით საშულო გლეხობასთან,—საბჭოთა ხელისუფლება გადაჭრის ამ ამოცანებს, ვინაიდან მასთან ერთად ამ ამოცანებს გადაჭრის თვით მშრომელი მასა.

პროლეტარული დიქტატურის ქვეყანას ყველაფერი საკმაოდ აქვს სოციალიზმის ასაშენებლად, როგორც ამას ასწავლიდა მას მისი ხელმძღვანელი, პროლეტარული ბელადი, ინტერნაციონალური რევოლუციონერი და მუშათა მოძრაობის გენიოსი ლენინი.

ჩვენს ქვეყანას აქვს ულეველი ბუნებრივი სიმდიდრე, მის პროლეტარიატს უჭირავს მძლავრი ეკონომიური მბრძანებელი მწვერვალები. მტკიცეა პროლეტარიატის დიდი რევოლუციონური კლასის დიქტატურა, გაიზარდა და განმტკიცდა მისი კავშირი მშრომელ გლეხობასთან, მაგრამ ის გარემოცულია კაპიტალისტური მტრებით. მის წინააღმდეგ ილესავენ კბილებს ყველა ქვეყნის იმპერიალისტები, მისი ზრდა სასოწარკვეთილ შიშს ჰგვრის მათ. მისი რევოლუციონური გავლენა მთელი მსოფლიოს მუშებზე და კოლონიალურ ერებზე ააფთრებს მათ. ისინი ხედავენ, რომ პროლეტარიატი არა თუ არ უთმობს ადგილს ახალ ბურჟუაზიას, არამედ სისტემატიურად და მტკიცედ ერთი-მეორეზე იპყრობს პოზიციებს. ისინი ხედავენ, თუ რამდენად საბრალო, უნიადაგო და სულელურია ჩვენი სახელმწიფოს „გადაგვარების" იმედი. ამით აიხსნება ცვლილება ბურჟუაზიის პოლიტიკაში, ახალი იერიშები პროლეტარიატის სახელმწიფოს წინააღმდეგ, ომის ახალი საფრთხე, რომელსაც გულმოდგინედ აღვივებენ ნავთის მეფეები, ბანკირები, დიპლომატები, თეთრგვარდიელთა ემიგრაცია საზღვარგარეთ და მათი დამქაშნი. აქედან გამომდინარეობს ის უსუსური შეთქმულებანი და ქურდული მკვლელობანი, რომელსაც ახლა კვლავ მიმართავენ უცხოეთის კაპიტალისტური აგენტები.

ამიტომ ჩვენი კავშირის სამხედრო ძლიერების ზრდა არის ყველა მშრომელთა მორიგი ამოცანა. სამხედრო ძლიერება უნდა ემყარებოდეს სამეურნეო და პოლიტიკურ ძლიერებას.

საკავშირო ცაკი მოუწოდებს მშრომელთ ყოველნაირად შეუწყონ ხელი ამ გაძლიერებას.

10 წელია, რაც ჩვენს ქვეყანაში არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა. 10 წელია, რაც ის იცავს ერთა შორის მშვიდობიანობისა და ძმობის საქმეს. 10 წელია, რაც მას უწინასწარმეტყველებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი მტრები დაღუპვას. 10 წელია, რაც ის ანათებს, როგორც ჩაგრული კაცობრიობის ჩირაღდანი.

ოქტომბრის რევოლუციის მეორე ათი წლის თავის კარზე საბჭოთა კავშირი, სრული შეფარდებით მთელ პოლიტიკასთან, აცხადებს:

„პროლეტარიატი სახელმწიფო მიზნად ისახავს მუშებისა და გლეხთა მასების საცხოვრებელი დონის ამაღლებას. წინააღმდეგ ყველა კაპიტალისტური ქვეყნებისა, სადაც მუშათა კლასი და გლეხობა იმყოფებიან გაყვლეფილ, ჩაგრულ და უუფლებო კლასების მდგომარეობაში, წინააღმდეგ კაპიტალიზმისა, რომელიც ართმევს მუშებს ბრძოლით მოპოებულ უფლებებს, რკინის ქუსლით სთელავს პროფკავშირთა უფლებებს, არბევს მუშათა ორგანიზაციებს, უკლებს სამუშაო ხელფასს, ადიდებს ყველგან სამუშაო დღეს, აგდებს გლეხობას ტრესტების, სპეკულიანტების და მევახშეების ხელში, აღატაკებს მშრომელთ,—წინააღმდეგ ყველა ამისა, სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი თავის სასიცოცხლო ამოცანად სთვლის პროლეტარიატის ყველა ძალთა ყოველმხრივ განვითარებას და ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების კეთილდღეობის აწევას.

ოქტომბრის რევოლუციის მეორე ათი წლის მიჯნაზე საკავშირო ცაკი ადგენს:

1) უახლოეს წელში საწარმოო და საფაბრიკო-საქარხნო მუშები გადაყვანილ იქნან 8 საათის სამუშაო დღიდან 7 საათის სამუშაო დღეზე, სამუშაო ხელფასის შეუმცირებლად. ამიტომ საკავშირო ცაკის პრეზიდიუმს და ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოს დაევალოს არა უგვიანეს ერთი წლისა შეუდგენ ამ დადგენილების თანდათანობით განხორციელებას მრეწველობის ცალკე დარგების მიმართ, საფაბრიკო-საქარხნო წარმოების რაციონალიზაციასა, გადაკეთებასა და შრომის ნაყოფიერების ზრდასთან დაკავშირებით.

2) საბინაო კრიზისის შესანელებლად მუშათა რაიონებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შარშანდელთან შედარებით, 50 მილ. მან. მეტი თანხა გადაიდოს მუშათა საბინაო მშენებლობაზე.

3) ღარიბი და საერთოდ ხელმოკლე გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქნას გლეხურ მეურნეობათა კიდევ 10 პროც., უკვე განთავისუფლებულ 25 პროცენტს გარდა.

4) განთავისუფლებულ იქნან გლეხური მეურნეობანი იმ სესხის გადახდისაგან, რომელიც, მოუსავლობის გამო 1924—25 წელში, მიიღეს მათ სახელმწიფოსაგან. ღარიბ გლეხობას მოეხსნას წარსული წლების ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენი და ამ ნარჩენთა გადახდის შეღავათები მიეცეს საშუალო გლეხობას, ქალაქისა და სოფლის ხელმოკლე მოსახლეობას შეღავათები მიეცეს ნარჩენთა, ჯარიმების და დაბეგვრის სხვა დარგებში. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმს დაევალოს სათანადო დადგენილების გამოცემა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის დღისათვის.

5) სახელმწიფოს ხარჯზე მიღებულ იქნას ყველა ღარიბ გლეხურ მეურნეობათა და საშუალო გლეხობის ხელმოკლე მეურნეობათა მიწათმოწყობა, რისთვისაც, 1927—28 წლ. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის გარდა, ხარჯთაღრიცხვის გარეშე გადაიდოს კიდევ 10 მილიონი მანეთი.

6) საკავშირო ცაკის პრეზიდიუმს და ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოს დაევალოს რიგს გარეშე კანონის შემუშავება მცირე შემძლე გლეხებიდან მოხუცთა სახელმწიფო ხარჯზე უზრუნველყოფის შესახებ და კანონის წარდგენა საბჭოთა კავშირის საბჭოთა უახლოეს ყრილობაზე.

7) 1927—28 წ. ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით, ხარჯთაღრიცხვის გარეშე, გადაიდოს 15 მილიონი მანეთი სასკოლო მშენებლობისათვის სოფლად და საფაბრიკო-საქარხნო ადგილებში.

8) ერთი ორად (არა ნაკლებ) გადიდდეს სამხედრო ინვალიდთა დასაზღვევი ფონდი.

9) მოკავშირე რესპუბლიკებში მოქმედ სისხლისსამართლის კოდექსებში გაუქმდეს სიკვდილით დასჯა, როგორც სოციალისტური დაცვის უმაღლესი ზომა ყველა საქმეზე, გარდა სახელმწიფო, სამხედრო ხასიათის და შეიარაღებული თავდასხმის დანაშაულობათა საქმეებისა.

10) საკავშირო ცაკის პრეზიდიუმს დაევალოს სასამართლოს განაჩენით, ანდა ადმინისტრატიული წესით დამტკიცებული სოციალური დაცვის ზომის შემსუბუქება ყველა მსჯავრდადებულთა მიმართ, გარდა გაუსწორებელი მფლანგველებისა, მექრთამეებისა და პოლიტიკური პარტიების აქტიური წევრებისა, რომლებიც მიზნად ისახავენ საბჭოთა წყობილების დამხობას.

ასეთია შინაარსი ამ მეტად საყურადღებო მანიფესტის. როგორც იქიდან დაინახავდით, საბჭოთა მთავრობის მთავარ და უპირველეს საზრუნავ საგანს შეადგენს ზრუნვა მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებაზე. იმ დროს, როდესაც კაპიტალისტური ქვეყნები ზრუნავენ იმაზე, რომ მუშათა კლასის მდგომარეობა გააუარესონ, გაადიდონ სამუშაო დრო 10—12 საათამდე, ჩვენში 8 საათის სამუშაო დღის ნაცვლად სურთ შემოიღონ 7 საათის სამუშაო დღე; იმ დროს, როდესაც კაპიტალისტები უამრავ ფულს ხარჯავენ სამხედრო შეიარაღებაზე, ჩვენი ხელისუფლება მილიონობით სდებს ფულს სწავლა-აღზრდის საქმეზე; იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიულ ქვეყნებში გლეხობა სულს ღაფავს მძიმე სახელმწიფო გადასახადების გამო, მშრომელთა ხელისუფლება, საბჭოთა რესპუბლიკა ამცირებს გლეხთა ისედაც უმნიშვნელო გადასახადს, ზრუნავს მუშათა საბინაო ცხოვრების გაუმჯობესებაზე და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლება მშრომელთა ხელისუფლებაა, ის მშრომელთა კეთილდღეობაზე ზრუნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები რადიოს შესახებ

აქვს თუ არა ამინდს გავლენა რადიო-გადაცემაზე?

რადიოს არმცოდნეები ხშირად კითხულობენ, ახდენს თუ არა ამინდი რაიმე გავლენას რადიო-ნიშნების მიღებაზე. შესაძლოა, თქვენ გგონიათ, რომ წვიმიან ან ნისლიან ამინდში რადიო-ურთიერთობა შეუძლებელია, ან, ყოველ შემთხვევაში, გაძნელებულია.

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, რადიო-ნიშნები იცემიან ეთერად წოდებული არეს საშუალებით, და მათზე, ბგერათა და სინათლის ტალღებისაგან განსხვავებით, ჰაერი ან ამინდის მდგომარეობა ვერ ახდენს გავლენას. მაშასადამე, მოდის თუ არა წვიმა ან თოვლი, სდგას თუ არა ნისლი — ეს სულერთია, ამისაგან არ შეიძლება წარმოსდგეს რაიმე ცვლილება; რადიო-ნიშნები მიიღებიან სრულიად ერთნაირად. თუ ნესტიან საღამო ამინდში თქვენ გინდათ თქვენსავე სახლში მიიღოთ ფართედმაუწყებელი სადგურიდან სასიამოვნო გასართობი ერთი საათის განმავლობაში, ამ შემთხვევაში თქვენ არ უნდა გეშინოდესთ იმისი, რომ ცუდი ამინდი შეგიშლისთ ხელს მიიღოთ ეს სიამოვნება.

ერთადერთი შემთხვევა, როცა ამინდი ხელს უშლის რადიო-გადაცემას, ეს არის ელჭექის ქარიშხალი. ამ დროს ჰაერი ხშირად შეიცავს დიდძალ ელექტრობას, რის გამოც ხშირად განვიცდით რამოდენიმე დაბრკოლებას. როდესაც სადმე გაიელვებს, მაშინ დიდ მანძილზე ვრცელდებიან სხვადასხვაგვარი ელექტრომაგნიტური ტალღები; ისინი შეიგრძნებიან თქვენი მიმღების მიერ, და იქიდან მოისმის არეული ტკაცანი და ხმაური, ძლიერ მომაბეზრებელი და ხელშემშლელი წმინდა განუწყვეტელი ნიშნების მიღებაში. მაგრამ, საბედნიეროდ, ამგვარი გართულებანი არ წარმოადგენენ ხშირ მოვლენას ჩვენს ქვეყანაში; ყოველ შემთხვევაში, როცა მახლობლად ელვაა, გირჩევთ შესწყვიტოთ რადიო-სადგურის მუშაობა. ამ შემთხვევაში მიღებულია წყოსის გამოთიშვა. თუმცა უნდა ითქვას, რომ არ არის საფუძველი ვიფიქროთ, ვითომც რადიო-წყოსით მომარაგებული სახლი უფრო მეტად იზიდავდეს ელვას, ვიდრე რომელიმე სხვა სახლი. ამგვარად, თუ თქვენ მიღების დროს გაიგონებთ განსაკუთრებულ მოტკაცუნე ხმაურობას, მაშინ გეცოდინებათ, რომ თავისი წარმოშობით ისინი ეკუთვნიან ატმოსფერული ელექტრობის შერყევას.

ის კი არა, თუ გაელვებას ამჩნევთ თქვენგან მეტად შორს მანძილზე, შესაძლებელია მაინც მოხდეს ისე, რომ თქვენ გაიგონოთ ეს არასასიამოვნო ხმაური; უფრო მეტიც: თუ ჰაერი ძლიერაა გაჟღენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილი ელექტრობით, მაშინ ელვის არარსებობის დროსაც კი შესაძლოა თქვენი რადიო-ნიშნები აღმოჩენენ რამოდენიმედ უვარგისნი, თუმცა ეს ხდება მეტად იშვიათად, ყოველ შემთხვევაში ეს მოვლენა შესაძლებელია შემჩნეულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მომუშავე წყოსს აქვს მეტად მაღალი მგრძნობიარება; საერთოდ კი რადიო-კონცერტების მოსასმენად მსმენელთა ფართო წრე ასეთ წყოსებს არ ხმაროობს ზოგჯერ ეს ატმოსფერული შერყევები გვევლინებიან რამოდენიმე ასეული და, ის კი არა, ათასეული კილომეტრის მანძილიდანაც კი, რომელთაც მოთმინებიდან გამოჰყავთ რადიო-მუშაკები, მაგრამ ამან არ უნდა დაგვაღონოს, ვინაიდან ასეთი გართულებანი მეტად იშვიათად ხდება.

როგორ შეიძლება გაიგოს რადიო-სადგურმა, რომ მეორე რადიო-სადგურს სურს გაუგზავნოს მას ცნობები.

ამ კითხვას ხშირად იძლევიან, ხოლო პასუხი ამაზე მეტად მარტივია.

საერთოდ მიმღებ-გადმომცემი რადიო-სადგურები მუშაობენ დღედაღამ, ორივ მიმართულებით რიგ-რიგობით და ამათგან უმეტესმა, გემის სადგურებისებრ, [არასოდეს არ იცის წინასწარ, საიდან უნდა ელოდეს შემდეგი ცნობების გადმოცემას. ამიტომ რადიო-მეელწერე მუდმივ უნდა ადევნებდეს თვალყურს თავის წყოსს და თავზე ჩაჩქანჩამოცმული ელსმენარებით ყურს უგდებდეს, ხომ არ მოისმის ისი სადგურის გამოვხმობი ნიშნები, რომლებიც სწევენ საელსმენო ნომრის ჰაგიერობას. მყისვე, რაკი მას გამოიძახებენ, მან უნდა უპასუხოს. [illegible] ყურადღებობას შესაძლოა მოჰყვეს მეტად სერიოზული შედეგები. დიდ გემებზე ჩვეულებრივ არის სამი რადიო-მეელწერე, და თვითეული მათგანი, მორიგეობს რა 8 საათის განმავლობაში, აწარმოებს ცნობათა მიღებას და გადაცემას.

ბევრს წარმოდგენილი აქვს, რომ საოცრად მოსაწყენი უნდა იყოს მუდმივად ყურის გდება წყოსისათვის, რომ არ გაუშვას გამოხმობა. სინამდვილეში ეს კი სრულებითაც ასე არ არის. რადიო-სადგურს საშუალოდ იმ ზომამდე ბევრი სამუშაო აქვს, რომ მუდმივი მორიგეობა მაინც აუცილებელია. შესაძლოა თქვენ მაინც შემომეკამათებით, რომ როცა სიტყვა ეხება მოყვარულთა სადგურებს, რომლების მქონებელთ ექნებოდათ სურვილი დაეჭირათ ურთიერთობა თავის მეზობლად მყოფ მეგობრებთან, მაშინ ისინი თავისთვის უფრო მოხერხებულად და ხელსაყრელად ჩასთვლიდენ, თუ მათ ექნებოდათ საშუალება გამოეძახათ წკარუნას საშუალებით, როგორც ეს ხდება ჩვეულებრივ ტელეფონზე. რადიო-ინჟენერებმა გააუმჯობესეს განსაკუთრებული რადიო-მიმღებები, რომლებშიაც მოისმის წკარუნას რეკა სადგურის გამოხმობის დროს, ხოლო ამგვარი მოწყობილობა სრულებითაც არაა აუცილებელი და მხოლოდ ზედმეტ ხარჯებს იწვევს. უმეტეს შემთხვევაში მოყვარულები უთანხმდებიან ერთმანეთს დროს შესახებ, როცა ისინი ისაუბრებენ, და დანიშნული საათისთვის სხდებიან წყოსთან და ამრიგად ამამენ ურთიერთობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1927 წ. გამოდის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

ჟურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი II

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ეროველი წმენრის, ორგანიზაციის ეროველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწეროს

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1927 წლისათვის

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში	5 მან.
ექვს თვეს	3 მან.
სამ თვეს	1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 კაპ.

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ტფილისი

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 23, სახელგამი (მესამე სართული). „პიონერი"-ს და „ნაპკადული"-ს რედაქცია.

ელსმენი—23—16

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ტფილისი—11/XI—27. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.
მთავარლიტი № 1942. შეკ. № 172. ტირაჟი 1000.